გილოცავთ ნათლისღება-წყალკურთხევის დღესასწაულს

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 იანვარი, 2015 წელი.

№9 (7654)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა წინააღმდეგაა

ოპოზიციას ეშინია, რომ შეიძლება, ქართველი მოხალისეები დაზარალდნენ უკრაინის შეიარაღებული ძალების რიგებში

8

ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიღწევების შესახებ

6

მეცნიერებათა აკადემიის გეგმები და პრიორიტეტები

3

ნოდარ სარჯველაძე: „ქართული ოცნება“ იმის გამო დაქველდა, რომ სტაგნაციაშია

შორენა ლორთქიფანიძე: კახეთის პროექტი რუსეთისთვის ერთ-ერთი დასაყრდენის ძიებაა საქართველოში

4

თავიდანვე ბარემ კოჟორიძე აგვერჩია პრეზიდენტად, არ ჯობდა?!.

2

ნიკა მელიას ასე კარდაკარ თავისი მუცლის გვრემა დააცუნცულებს...

რიგითი ქართველის „ჯიბის ევოლუცია“,

ანუ როგორ იზრდებოდა მოქალაქეების შემოსავალი 1970 წლიდან დღემდე

9

იქ ძვირდება, ჩვენთან – არა!

2

რატომ არ ემთხვევა ოქროს „ქართული“ ფასი მსოფლიო ფასებს

თავმდაბლობასთან შერწყმული უდიდესი საერთაშორისო აღიარება

გაიხსნა ოთარ მელვინეთუხუცესის ძეგლი



9 აპრილის ბაღში მსახიობ ოთარ მელვინეთუხუცესის ძეგლი გაიხსნა. ღონისძიებას საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, კულტურის მინისტრი, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, მომღერლები და მსახიობები ესწრებოდნენ.

კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძის განცხადებით, ოთარ მელვინეთუხუცესმა მოღვაწეობის პერიოდში ბევრი დასამახსოვრებელი როლი შეასრულა. **„მიუხედავად უდიდესი საერთაშორისო აღიარებისა, მას ყოველთვის თავმდაბლობა, თავდაჭერილობა ახასიათებდა. ეს ხასიათის სიმტკიცე მის მიერ შექმნილი გმირების ხასიათს ლაიტმოტივად მიჰყვებოდა, თითქოს, ყველაზე მთავარი, რაც ბატონ ოთარს აქვს, არის ხალხის სიყვარული და დღევანდელი დღეც ამის დასტურია“,** – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

ძეგლის ავტორის ლევან ვარდოსანიძის განცხადებით, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც აქანდაკებ მსოფლიო დონის მსახიობს. **„მეფე ლირის ძეგლიც დავდგით ქართველებმა საქართველოში. ღამე მინდა ნახოს საზოგადოებამ ეს ქანდაკება, რადგან იქ არის ჩამონტაჟებული ნათურები, რომელიც პირველად გამოვიყენე და პატარა თეატრალურ სიტუაციას ქმნის“,** – აღნიშნა ვარდოსანიძემ.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პატრიარქი ევროკომისარ იოჰანეს ჰანს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი მიიღო.

შეხვედრას ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში იანოშ ჰერმანი და ევროკომისრის თანმხლები პირები ესწრებოდნენ.

პატრიარქმა ისაუბრა იმ ვითარებაზე, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებობს. საპატრიარქოს ინფორმაციით, ილია მეორემ ხაზი გაუსვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას და მადლიერება გამოთქვა იმ მხარდაჭერის გამო, რომელსაც ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები გამოხატავენ საქართველოს მიმართ.

იოჰანეს ჰანმა ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად მისი უწმინდესობის გამორჩეულ როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბრიუსელში კარგად იცნობენ საქართველოს მწყემსმთავრის საქმიანობას, დიდად აფასებენ მას და ზოგადად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

ევროკომისარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და გამოთქვა იმედი, რომ საქართველო წარმატებით გაართმევს თავს ევროკავშირში ინტეგრირების პროცესს.

საქართველოს შეუძლია, იყოს არბიტრი ორ რეგიონს შორის

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი მიიღო.

მხარეებმა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები განიხილეს, ასევე, იმსჯელეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე, კერძოდ, აფხაზეთსა და რუსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებაზე.

გიორგი მარგველაშვილმა იოჰანეს ჰანთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ რაც უკრაინაში მოხდა, გარკვეულწილად 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული ქმედებების გაგრძელებაა.

„ჩვენ გვქონდა ძალიან შინაარსობრივი დისკუსია და მსჯელობა საქართელოს პოლიტიკური, გეოპოლიტიკური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ვექტორის — ევროპული ვექტორის შესახებ და იმ ძირითადი მიმართულებისა და ნაბიჯების შესახებ ვიმსჯელეთ, რომელიც ამ თვალსაზრისით უახლოეს მომავალში უნდა გადავდგათ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ევროკავშირი დაინტერესებულია კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოსთან.

„ასოციირების ხელშეკრულება არის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ახლა საქმე ეხება იმპლემენტაციას. მაგრამ ასევე ძალიან სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ საქართველოს შეუძლია იყოს და შეასრულებს უფრო გამორჩეულ როლს, როგორც აღმოსავლეთსა და ევროპას შორის დამაკავშირებელს. საქართველოს შეუძლია იყოს არბიტრი ორ მხარეს, ორ რეგიონს შორის და ეს შესაძლოა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო როლი საქართველოსათვის მომავალში“, — განაცხადა ევროკომისარმა.

უკრაინაში ევროკავშირის მრჩეველთა მისია ჩაერთვება

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა გუშინ ილიას უნივერსიტეტში გამართულ საჯარო ლექციაზე განაცხადა.

„საქართველო, როგორც ევროკავშირის პარტნიორი საერთაშორისო ასპარეზზე, სრულად იზიარებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. გასული წლის ივნისიდან ქართველმა სამხედროებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე ევროკავშირის მისიის წარმატებაში. ასევე დაგეგმილია ჩვენი მონაწილეობა უკრაინაში, ევროკავშირის მრჩეველთა მისიაში“, — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

შარშან ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსმა ცოტნე ყავლაშვილმა მედიას 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში გააცნო, რომელიც საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად პარლამენტს 20 იანვარს წარედგინება.

როგორც სახაზინო სამსახურის უფროსმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი.

„2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილმა გადააჭარბა 20 მლნ ლარს და შეადგინა 9 მილიარდ 125 მილიონი ლარი. მათ შორის, არადეფიციტური შემოსავლები, როგორიც არის საგადასახადო შემოსავლები, გრანტები და სხვა — 83 მლნ ლარით და შეადგინა 7 მილიარდ 474 მილიონი ლარი, რამაც საშუალება მოგვცა 66 მლნ ლარით ნაკლები ვალი აგვეღო ვიდრე იყო დაგეგმილი“, — განაცხადა ცოტნე ყავლაშვილმა.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, ასევე გადაჭარბებით შესრულდა საგადასახადო შემოსავლები. გადაჭარბებამ შეადგინა 27 მილიონი ლარი. სულ საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 6 მილიარდ 847 მილიონი ლარი. ამასთან, ბოლო ორ დღეში საგადასახადო შემოსავლებიდან დამატებით 82 მლნ ლარი მიიმართა გადასახადების დაბრუნების ქვეანგარიშზე, ვინაიდან, საგადასახადო შემოსავლების გეგმა უკვე შესრულებული იყო.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

1. თავიდანვე ბარემ კოჟორიძე აგვერჩია პრეზიდენტად, არ ჯობდა?!.

ეს ჩვენი ეგრეთ წოდებული პლასტელინის პრეზიდენტი, ლოკოკინის ბაკანივით ზურგზე უზარმაზარსასახლემოკიდებული, როგორც საქმე გვიჩვენებს, ივანიშვილის ჯიბრზე მაინცდამაინც ისეთ მრჩევლებს ირჩევს, ვინც კრიჭაში უდგას და ძვალივით გულზე ადგას „ქართულ ოცნებას“.

აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ საიას ყოფილი თავმჯდომარის კოჟორიძის მყისიერი გამრჩეველება, იმ კოჟორიძისა, რომელმაც, არ მომერიდება ამის თქმა, ავად მობზუილე კრაზანასავით მოაბეზრა ჩვენს საზოგადოებას იურიდიულად არცთუ მთლად ტვინგადმომდინარი და მიუკერძოებელი თავი. ასე რომ, თუ აგრე გააგრძელა ჩვენმა ფილოსოფოსმა პრეზიდენტმა, პრეზიდენტის სასახლე მალე ანტიმეოცნებე კრაზანების ბუდეს დაემსგავსება.

ისე, ბოლოს, მარგველაშვილს რახან არასამთავრობო, გარე ძუძუს დაწაფებული კოჟორიძის სარჩევად გაუხდა საქმე, ყოვლისშემძლე ივანიშვილს თავიდანვე კოჟორიძის გაპრეზიდენტებაზე რომ ეზრუნა, განა ბევრად არ აჯობებდა?!

ჯემალ გუთხუზი,
ქ. გორი.

2. მელიას ასე კარდაკარ თავისი მუცლის გვრემა დააცუნცულებს...

უკვე ერთი წელიწადია, ისე გამუდმებულად ჩანს ხან რომელი და ხან რომელი ტელევიზიის ეკრანზე (ყველაზე მეტად, რასაკვირველია „რუსთავზე“!) ქალაქის თავად ვერგამხდარი შუმი ნაციონალი ნიკა მელია, რომ ზოგ მალემრწმენსა და გულუბრყვილოს ის აზრიც კი გაუჩინა, მგონი, ნარმანია კი არა, ეს უნდა აგვერჩია თბილისის მერადო.

არადა ხალხში სწორედ ამ აზრის გაჩენის მუცლის გვრემა დააცუნცულებს ამ სამგლე მელიას, რომელიც წლების განმავლობაში აღსრულების ბიუროს ედგა სათავეში და კარს შეუღებდი და საქმის სამართლიან გადაწყვეტას მოსთხოვდი კი არა, ნამდვილად უჩინმაჩინის ქუდი ეხურა და საერთოდ ვერ მოჰკრავდი თვალს.

სხვისას არა, საკუთარ ამბავს მოგახსენებთ. 2006 წლიდან ჩემი საქმის სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ აღსრულების ბიუროში ტრიალებდა. ერთხანს თითქოს საშველიც დაადგა, მაგრამ ბიუროში თავმჯდომარედ მელიას მისვლის შემდეგ, ეტყობა, მასთან საერთო საქმიანი ენა გამონახეს ქალაქ რუსთავში არყის ქარხნის მფლობელმა, ქონება გამიზნულად გასხვისებულმა, გაქნილმა და კაცურ სინდის-ნამუსთან მწყრალად მყოფმა ძმებმა გაგოშაშვილებმა და „ჩემი კუთვნილი ქათამი“, როგორც ჩანს, ერთად გაძიძგნეს.

როგორც ვიცი, მელიას ვაითავმჯდომარეობის დროს ჩემისთანა მდგომარეობაში ძალიან ბევრი მოქალაქე აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, აღსრულების ბიუროში ეს არაპატივცემული მელია მართლა მელიობდა, ხოლო ახლა, ხელისუფლებაში დამნაშავე ნაციონალების ისევ მობრუნების ჟინით შეპყრობილი, ცრუვეფხვად იქცა და ხალხის უფლებების „თავგადაკლულ დამცველად“ გვევლინება.

სადაც თავიანთ პრობლემებზე მოლაპარაკე ორ-სამ ადამიანს ერთად მდგომს დაინახავს, უმალ იქ დაემჭვიტება და ატეხს ერთ ვაიუშველებელს, ეს უნიათო მეოცნებენი ანტიხალხურ პოლიტიკას ახორციელებენო.

მაგრამ უკვე მწარედ ჭკუანასწავლი ადამიანები არამც და არამც აღარ ენდობიან აწ უკვე ნაძალადევად და მოსაჩვენებლად „გავეფხვებულ თუ გალომებულ“ საშვილიშვილოდ თავლაფდასხმულ, ქვეყნის წინაშე დამნაშავე ნაციონალ მელიებს, ტურებსა და მგლებს, რომლებიც კვლავ და კვლავ ავად ყეფენ, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, უკვე ამაოდ....

კახა ნიშნიანიძე,
ქ. თბილისი.

◎ ძვირფასი ლითონი

იქ ძვირდება, ჩვენთან — არა!

რატომ არ ემთხვევა ოქროს „ქართული“ ფასი მსოფლიო ფასებს

იანვრის პირველ დღეებში საქართველოში ოქრო გაძვირდა: „აგორა ფინანსების“ ცნობით, წლის დასაწყისში 999 სინჯის გრამი ოქროს საშუალო ფასმა ადგილობრივ ბაზარზე 77,92 ლარი შეადგინა, რაც წინა კვირის მაჩვენებელს 1,31 პროცენტით აღემატება. ამ ეტაპზე კი, 999 სინჯის ოქროს ფასი 79 ლარი და 80 თეთრია. რამდენიმე თვის წინათ, კერძოდ, 7-13 აპრილის მდგომარეობით, 999 სინჯის ოქროს საბაზრო ფასი ადგილობრივ ბაზარზე 71 ლარი იყო. მსოფლიო ბაზარზე 2015 წლის დასაწყისში ოქრო საგრძნობლად გაძვირდა და ეს ტენდენცია ქართულ ბაზარზეც აისახა, მიუხედავად იმისა, რომ დოლარი გამყარდა, ხოლო ოქროს მყიდველთა რაოდენობა ქვეყანაში უკიდურესად შემცირდა. ამ პრობლემას უჩივიან „ოქროს ბირჟის“ ქართველი დილერებიც. მათ თუ დავუჯერებთ, ხალხი ოქროს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ყიდულობს, ძირითადად, ნათლობის, ან ქორწილის დროს.

„ამ რამდენიმე წლის წინათ გრამი ოქრო 40-50 ლარიც ღირდა, მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა, დღეს ამ მაჩვენებლამდე მისი გაიაფება წარმოუდგენელია. უცხოეთში ოქროზე ფასები სისტემატურად იცვლება, რაც ქართულ ბაზარზე გავლენას თითქმის არ ახდენს. დღესდღეობით, ჩვენთვის ყველაზე დიდი სატკივარი რეალიზაციის კლებაა, რადგან ხალხს ძვირფასეულობის შეძენის შესაძლებლობა არა აქვს. მომხმარებელი ოქროულობას ყიდულობს მაშინ, როცა მისთვის ეს აუცილებლობაა. მაგალითად, ქორწილის, ან ნათლობისათვის, როდესაც ოქროს ყველაზე ახლობელი ადამიანისათვის იმეტებენ. ხშირად ხდება, რომ მთელი დღის განმავლობაში ვერაფერს ვყიდით“, - ჩივიან „ოქროს ბირჟის„ დილერები.

შპს „აგორა ჯგუფის“ ეკონომიკური მიმომხილველი ცოტნე ჟღენტი კი ამბობს, რომ ყველაფრის მიუხედავად, ოქროს ფასი მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც თანდათან მატულობს:

— ოქროს ფასი იზრდება და იზრდება, ამის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ ბოლო თვეებში ლარი დოლართან შედარებით უფასურდებოდა. მთლიანობაში კი, მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასი მატულობს. ფასებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ, კერძოდ, რუსეთში, უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა: საერთოდ, როცა მსოფლიოში დაძაბულობაა, ოქროს ფასი მაშინვე იზრდება იმიტომ, რომ ყველა ცდილობს, ინვესტიცია ოქროში ჩადოს. ასეთ დროს ფასიანი ქაღალდები ნაკლებად მოთხოვნადი ხდება და თავის ფულს ყველა ოქროში აბანდებს. საქართველო მიბმულია მსოფლიო ბაზარზე, ამიტომ, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ოქროს ფასი წლის დასაწყისში კვლავ გაიზრდება, თუმცა, არც იმდენად, რომ საგანგაშო ნიშნულს მიაღწიოს. ერთ თვეში შეიძლება ისევ ისე გაძვირდეს, როგორც იანვრის თვეში გაძვირდა ანუ 1-2 პროცენტით. შეგახსენებთ, რომ გრამი 999 სინჯის ოქრო ზაფხულში 67-68 ლარიც კი ღირდა, ახლა კი 10-12 ლარით არის გაძვირებული. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მსოფლიო ფასი სულ სხვაა, მაგრამ საქართველოში ოქროს ზოგჯერ გაცილებით იაფად ჰყიდიან. ოქროს ბირჟაზე 1 გრამი ოქრო შეიძლება შეღავათიან ფასშიც შეიძინოთ.

ამ მოსაზრებას იზიარებს www.oqrosbirja.ge-ს ადმინისტრატორი ვლადიმერ ქურდაძეც:

— ზაფხულის შუა დღეებიდან ოქროს რეალიზაციამ კლება დაიწყო, მართალია ძალიან დიდი ცვლილებები არ ყოფილა, მაგრამ ფასი 1-2 ლარით იცვლებოდა: ხან მაღლა ადიოდა, ხან კი იკლებდა. ქართული ბაზარი მიბმულია მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ეს მაინც ჩაკეტილი სივრცეა. დღესდღეობით ოქროს ბირჟაზე რომ გაიაროთ, ყველა ვაჭარი კლიენტების ნაკლებობას უჩივის, ამიტომ, შეიძლება ოქრო ოფიციალურად დაფიქსირებულ ფასზე იაფადაც შეიძინოთ. ყველაზე დიდი მოთხოვნა ე.წ ბაჯაღლო, ანუ 999 სინჯის ოქროზეა, რომელსაც ხშირად ძველ ოქროს, ან რუსულ ოქროსაც ეძახიან. მაღალია მოთხოვნა 750 სინჯის ოქროზეც. ამჯერად 999 სინჯის ოქროს 68-70 ლარადაც შეიძენთ. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო არ ცდილობს, რაღაც ფასი განსაზღვროს, ამიტომ, ვაჭრები თვითნებურად ცვლიან ფასებს. 750 სინჯის ოქრო კი, 50-55 ლარი ღირს. ეს ე.წ იტალიური ოქროა. ასეთი შეუსაბამობები ოქროს მსოფლიო ფასსა და ადგილობრივ, ქართულ ბაზარზე არსებულ ფასებს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა. ზოგადად კი, ოქროს ფასს ქართულ ბაზარზე შექმნილი სიტუაცია განსაზღვრავს.

როგორც ამ სფეროს წარმომადგენლებმა bpn.ge-ს განუცხადეს, თბილისის ოქროს ბირჟებზე ძნელად შეხვდებით მოვაჭრეებს, რომლებსაც ოქრო უცხოეთიდან შემოაქვთ, მათი უმეტესობა ოჯახებიდან ჩაბარებული, შედარებით იაფი ძვირფასეულობით ვაჭრობს, ამიტომ, ზოგიერთ მათგანს წლების წინათ იაფად შეძენილი ოქროს სამკაულებიც აქვს. ეს „ოქროს ბირჟის“ დილერებს გასაქანს აძლევს, რომ ფასებით ლავირება შეძლონ და ისედაც შემცირებულ კლიენტურას ყველაზე მისაღები, ოპტიმალური ფასი შესთავაზონ.

ხათუნა ჩიგოგიძე

„ქართული ოცნება“ იმის გამო დაძველდა, რომ სტაგნაციაშია

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა

— ბატონო ნოდარ, პარიზში ისლამისტების მიერ დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, ფრანგული სატირული ჟურნალი Charlie Hebdo მაინც გამოვიდა. როგორც დაანონსებული იყო, პირველ გვერდზეა მუჰამედ წინასწარმეტყველის სურათი წარწერით — „მეც შარლი ვარ. ყველაფერი ნაპატიებია“. თქვენ როგორ შეაფასებდით პარიზში მომხდარ ტრაგედიას, მასზე ცივილიზებული სამყაროს რეაქციას და თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება შეუწყოს ხელი რელიგიური ვნებების ჩაცხრომას ჟურნალ Charlie Hebdo-ს ზემოხსენებულმა გამოცემამ?

— ძალიან სამწუხარო ამბები მოხდა, მაგრამ ყველაფერი ეს ერთობ დამაფიქრებელია. გლობალიზაციასთან ერთად, ძალიან მძლავრი აღმოჩნდა კაცობრიობაში, ცალკე ერებსა თუ ადამიანებში ნეკროფილური ტენდენციები. ხანდახან მედია ამას აძლიერებს და რაში გამოიხატება ეს? ამის თვალშისაცემი სიმპტომი ის გახლავთ, რომ მილიონობით ადამიანმა განაცხადა — „მე შარლი ვარ“. ანუ, გარდაცვლილი ადამიანი ვარო, რითაც თავისი თავი გარდაცვლილ ადამიანთან გააიგივა.

პრაქტიკულად, რაზე აიღო პასუხიმგებლობა „შარლიმ“? კაცმა რომ თქვას, მან დარღვია ეთიკის წესები, ალბათ ჟურნალისტური ეთიკისაც, ვინაიდან არ გაითვალისწინა იმ ხალხის გრძნობები, ვინც თავს მუჰამედთან აიგივებს. ჩემი აზრით, მან სიტყვის თავისუფლებაზე კი არ აიღო პასუხიმგებლობა, არამედ სიკვდილზე, რაც თავისი არსით ნეკროფილურია. ტერორიზმის ნიშან-თვისებაც ის არის, რომ იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიკვდილის მთესველი ბაცილაა.

ბუნებრივია, ამ ბაცილას მკურნალობა უნდა, მაგრამ არა იმ ხერხით, რაც გაკეთდა. მხედველობაში მაქვს ჟურნალის ტირაჟის გასამმილიონება. ეს გადაწყვეტილება დაპირისპირებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებაა. ეს, ჟურნალის ტირაჟის გარდა, ტერორიზმის ტირაჟირებასა და გაზრდას გამოიწვევს. ანუ, ჩემი აზრით, დღევანდელი გამოცემა ვერც ტერორიზმის ტალღას და ვერც ისლამურ სამყაროს ვერ შეაჩერებს.

ჟურნალის დღევანდელ გამოცემაში ორგვარი მესიჯია — პირველი — „მე შარლი ვარ“ და მეორე — „ყველაფერი ნაპატიებია“. ეს არაფერს არ იძლევა, ვინაიდან ჟურნალის ტირაჟის გაზრდა მუსლიმური სამყაროსათვის მესიჯია იმისა, რომ დასავლეთი ისლამური რელიგიის გაკარიკატურებას გააგრძელებს. დასავლეთის რეაქცია მომხდარზე, ანუ — „მე შარლი ვარ“ და მრავალმილიონიანი მანიფესტაცია და ტირაჟის გაზრდა ესტაფეტასავით გადაეცემა ისლამურ სამყაროს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, გამოწვევაზე გამოწვევით უპასუხებენ. ჩემი აზრით, დასავლეთი მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით ჩიხშია შესული და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლისათვის მარტივი გადაწყვეტილებები არ არსებობს.

— ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებულმა განწყობებმა, ასე თუ ისე ჩაიარა. მესმის, რომ სოციალური ფონისა და საზოგადოებრივი განწყობების დახასიათებას სპეციალური კვლევა სჭირდება, მაგრამ გთავაზობთ, ვისარგებლოთ ჩვენში საზოგადოებრივი აზრის „კარგად ცოდნისა თუ ფორმირების გურუდ“ აღიარებული ენ-დი-აის დროებითი ტაიმ-აუტით. როგორ დაახასიათებდით ახალი წლის დასაწყისში საზოგადოებრივ განწყობებს?

— შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ მოსახლეობას აქვს მოლოდინები, არაფერი არ გაუმჯობესდება და პირიქით, გაუარესდება. ინფლაციური პროცესების გამო შესაძლოა, ბევრი რამ გაუარესდეს. დასაქმების პერსპექტივა ისევ და ისევ ბუნდოვანია, საარსებო მინიმუმი ისევ დაბალია, საარსებო ხაზის გაგრძელებით მოსახლეობას სიღარიბეს კიდევ უფრო აჩვევენ. ეს ხაზი შევარდნაძის დროსაც იყო, სააკაშვილის დროსაც და ახლაც გრძელდება. ამ თვალსაზრისით არ ჩანს ხელისუფლებაში ხედვების გაუმჯობესების შესაძლებლობა. საარსებო მინიმუმი დაბალია, ეს უსამართლობაც არის. თუ საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე, სოციალური სამართლიანობაა დარღვეული და ამაზე პრაქტიკულად, არც არავინ საუბრობს. ჩემი აზრით, ასეთ ფონზე ხალხში განწყობა დაახლოებით ასეთია — არაფერი არ გაუმჯობესდება, პირიქით, გაუარესდება.

— შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ გადაჭარბებული მოლოდინების გამო გარკვეულმა უკმაყოფილებამ საზოგადოებას გაუარა, პოლიტიკური დაპირისპირების გამო ვნებათაღელვა ჩაცხრა? თქვენი აზრით, რაზე შეიძლება იყოს უმეტესად კონცენტრირებული კოლექტიური საზოგადოებრივი გონი? ანუ, სავარაუდოდ, რაზე უფრო იქნება მოთხოვნა ჩვენს პოლიტიკური ცხოვრებაში 2015 წელს?

— მოლოდინების ფონზე უკმაყოფილების ტალღას არ გაუვლია და პოლიტიკური დაპირისპირებაც გამოკვეთილია. ჩემი აზრით, ეს ტენდენციები კვლავაც შენარჩუნდება. გრძელდება ქონებისა და თანამდებობების გადანაწილების პროცესი. ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულია და დღეს და ხვალ არ დამთავრდება. შესაძლოა, 2015 წელიც ნაწილობრივ მაინც ამ ნიშნითაც წარიმართოს.

რაც შეეხება იმას, თუ რაზე იქნება კონცენტრირებული ნაციონალური გონი, უკვე ვთქვი და გავიმეორებ — შევარდნაძის, სააკაშვილისა და დღევანდელი ხელისუფლების ერთი ძირითადი მახასიათებელი ის გახლავთ, რომ სოციალური უსამართლობის დაძლევა არ არის წინა პლანზე წამოწეული. თუ რამეში უნდა აღდგეს სამართლიანობა, ეს ეკონომიკური სამართლიანობა და სიღარიბის მასშტაბების შემცირება, დასაქმების პრობლემების მოგვარება და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა.

მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ახალი რეგულაციების შემოტანას. მიაჩნია, რომ რეგულაციების შემოტანა პანაცეაა, ვინაიდან ყურადღების მიღმა რჩება სტიმულატორები. არა მარტო უნდა შეზღუდო რეგულაციები და მოაქციო ჩარჩოებში, არამედ უნდა მისცე სტიმული და მოტივაცია, რათა ადამიანებმა მოახდინონ ცვლილებები და გარღვევები საკუთარ ცხოვრებაში. შესაძლოა, წელს ადამიანებმა ვერ მოახდინონ ზუსტი არტიკულირება თავისი პრობლემების, მაგრამ წინა პლანზე წამოიწევს ჩვენი ცხოვრების სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნების პრობლემატიკა.

ჩემი აზრით, აქტუალური გახდება სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რაც დასავლეთში ქრისტიან-დემოკრატიული იდეოლოგიის ხაზია. ამას გერმანიაში ადენაუერისა და ერჰარდის მოდელს ეძახიან. ჩემი აზრით, ამ იდეების დრო საქართველოში ახლა დგება. ჩვენში ეკონომიკური რეფორმების გატარებაში გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების მოდელის გათვალისწინება აქტუალური ამოცანა იქნება.

— ბევრი ვარაუდობს, რომ საზოგადოება ახალი და ძველი ხელისუფლებების სატელევიზიო კინკლაობებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ მიაქცევს და 2016 წლის არჩევნებს დაელოდება და თავს მოლოდინის რეჟიმში ჩაიყენებს. თქვენც ასე ვარაუდობთ?

— მე ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ველოდები. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ცვლილებების საზოგადოება არ არის. ჩვენ ხომ ერთ წრეზე ტრიალის საზოგადოება ვართ. ცვლილებები რომ დაიწყოს, უნდა დაიწყოს მენტალური ცვლილებები, ასეთი რამ კი არ შეიმჩნევა. ჩვენ ხომ ახალ ღვინოს ისევ ძველ ტიკში ვასხამთ. იქნება გარკვეული პოლიტიკური ბატალიები, მაგრამ იქნება სტაგნაციური მოლოდინის რეჟიმიც. პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ველოდები, ანუ იქნება ის, რაც ახლაა.

— სხვადასხვა მიზეზისა და მოტივის გამო ბევრი გამოთქვამს აზრს, რომ წელს „ქართულ ოცნებას“ რესპუბლიკელებიც დატოვებენ. თქვენც მიიჩნევთ, რომ ამის ალბათობა მაღალია?

— ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება რესპუბლიკური პარტიის შიდა სამზარეულოში, მაგრამ ბევრია გარეგანი სიმპტომი, რომ ისინი დიდი ალბათობით კოალიციას დატოვებენ. რესპუბლიკელებს სჭირდებათ ახალი სტრატეგია, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩნენ. ამის ღერძი კი არის დაპირისპირება. ცხადია, ნაცებთან დაპირისპირებას აზრი არა აქვს და ამაზე აქცენტს არ გააკეთებენ. მათი დაპირისპირების საგანი „ქართული ოცნება“ იქნება, ამით შეუძლიათ მათ, შემორჩენენ პოლიტიკურ ასპარეზზს. გარდა ამისა, დაპირისპირებაში შესვლა ხომ მათი სტილია. სწორედ ამ სტილის გამო არიან ისინი დღემდე პოლიტიკაში და ჩემი ვარაუდით, მომავალშიც ამ სტრატეგიით იმოქმედებენ.

კაცმა რომ თქვას, „ქართული ოცნება“ იმის გამო დაძველდა, რომ სტაგნაციაშია. რესპუბლიკელები მზად არიან რებრენდინგისათვის. ჩემი აზრით, რებრენდინგი „ქართულმა ოცნებამაც“ უნდა გააკეთოს. ეს ეხება არა მარტო სახელწოდებას, ეხება სტრატეგიას და ტაქტიკას. ეს ყველაფერი კი ჯერ არ ჩანს. ასეთ ვითარებაში რესპუბლიკელების კოალიციაში ყოფნა გაუგებარიც კი იქნებოდა. რაც მისაღები იყო „ქართული ოცნებიდან“, მათ უკვე მიიღეს. მეტს ვეღარ მიიღებენ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ისინი კოალიციას დატოვებენ.

— ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხშირად აცხადებს, რომ საქართველოში მალე დაბრუნდება მიუხედავად იმისა, რომ მასზე ძებნაა გამოცხადებული. ჟურნალისტის კითხვაზე - როგორ? მისი პასუხი ასეთია — „ამას ქართველი ხალხი გააკეთებს.“ თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ხელისუფლებაზე გაბრაზებულ-უკმაყოფილო ხალხი სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მხარეზე აღმოჩნდება?

— სააკაშვილი კომიკურ ფიგურად ყალიბდება. შესაბამისად, მისი ეს განცხადებები ადამიანმა სერიოზულად არ უნდა აღიქვას. ჩემი აზრით, მან კარგად იცის, რომ საქართველოში ვერ დაბრუნდება. თუ არ იცის, მით უარესი მისთვის. ვფიქრობ, რომ სწორედ ამის გამო ხმაურობს. თუ ვერ ჩამოვა, იგი შეეცდება, სადმე მაინც იყოს, რაიმე ფუნქცია სადმე, რომელიღაც სივრცეში მაინც ჰქონდეს. ამიტომაც სჭირდება მას მთელი ეს კამპანია, რომ საქართველოში თითქოს ქართველი ხალხისგან მხარდაჭერა აქვს. მისი ჩამოსვლა რომ ილუზიაა, დარწმუნებული ვარ, თავადაც კარგად იცის, თუ არ იცის, მის ნაცვლად მე ვერ ვიჯავრებ.

— იმის გამო, რომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს უფლებამოსილების ვადა თებერვალში ეწურება, პრეზიდენტმა პარლამენტს, არასამთავრობო სექტორს სასამართლოს მომავალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე კონსულტაციების დაწყება შესთავაზა. შეძლებს ხელისუფლება, დაძლიოს ცდუნება და ამ მეტად მნიშვნელოვან პოსტზე დასანიშნად არ შეარჩიოს პიროვნება, რომლიც პოლიტიკურ პარტიასთან ირიბადაც არ იქნება მიბმული?

— თუკი ხელისუფლება შეძლებს, დაძლიოს ცდუნება და სასამართლოს თავმჯდომარედ მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ კანდიდატურას არ შეარჩევს, ძალიან გამიკვირდება. მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან გამიხარდება, თუ ხელისუფლება ამ ცდუნებას არა თუ დაძლევს, არამედ სხვებსაც გადაუკეტავს გზას, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებული არ იქნას შერჩეული ამ უაღრესად საპასუხიმგებლო თანამდებობაზე. თუ ასე მოხდა, ეს ძალიან დიდი მიღწევა იქნება.

— ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილი ხელისუფლებას რუსეთთან მიმართებაში წარმოებული პოლიტიკის გამო აკრიტიკებს. გასაგებია, რომ ოფიციალურ თბილისს არ სურს, ზედმეტად გააღიზიანოს სანქციების გამო, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ დღეში მყოფი კრემლი. რუსი პოლიტოლოგის ლილია შევცოვას აზრით, — „რუსეთი კრიზისშია და ახალ რეალობას ქმნის, მაგრამ რუსეთს მოუწევს თავისი „გოდების ველის“ გავლა, ვიდრე დაინახავს შექმნილ სიტუაციაში ილუზორულ გამოსავალს“. იქნებ, ვიდრე კრემლი მისთვის საუკეთესო და ჩვენთვის მისაღებ გამოსავალს ნახავს, ჩვენი მხრიდან აქტიურობა ზედმეტიც კი იყოს?

— ახლა ისეთი მომენტია, რომ ჩვენი საზრუნავი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის შიგნით მშვიდობა, თანხმობა, სოლიდარობა, კეთილდღეობა და ცხოვრების დონის ამაღლება. ანუ, შინაგანად უნდა გავძლიერდეთ. ახლა რუსეთთან ფაფხურს არავითარი აზრი არა აქვს. რუსეთმა თავისი თავი თავად უნდა ამოწუროს. თავად უნდა ჩადგეს რაღაც კალაპოტში. ჩვენ მის კალაპოტში ჩადგომას ვერ მოვახერხებთ. ქვეყანას, რომელსაც კალაპოტი არა აქვს, სადაც უკანონობა ყოველ ნაბიჯზეა და კონტროლს არ ექვემდებარება, მის ლიდერებთან ურთიერთობის დალაგებას აზრი არა აქვს. ჩვენ ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მასთან ვერაფერსაც ვერ დავალაგებთ, ვინაიდან კრემლს ურთიერთობების დალაგებისთვის არ სცალია. ამიტომ, ჩვენ ახლა კარგი გაგებით ეგოისტურად უნდა მოვიქცეთ და ჩვენ თავს მივხედოთ, ეკონომიკურად და სხვა კუთხით გავძლიერდეთ.

იმედი იმისა, რომ ჩვენ რუსული ბაზარი გაგვაბედნიერებს, გაგვაძლიერებს, ახლა ამ ეტაპზე ილუზორულია. ეკონომიკური სანქციების გამო თავად უჭირს რუსულ ეკონომიკას და რუსულ რუბლსაც.

კობა ბენდელიანი

◎ ალიანჩალიანი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო „ენგურჰესთან“ დაკავშირებით მოლაპარაკებებს კატეგორიულად უარყოფს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს „ენგურჰესის“ კუთვნილებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

„კატეგორიულად უარვყოფთ რაიმე მოლაპარაკების დაწყებას „ენგურჰესის“ კუთვნილებასთან დაკავშირებით. „ენგურჰესი“ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე და ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს . „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორის განცხადება აცდენილია რეალობას. კიდევ ერთხელ შევახსენებთ ყველას, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია და ჩვენ პასუხიმგებელნი ვართ საქართველოს ამ რეგიონის წინაშე. მიუხედავად კონფლიქტისა და არსებული პოლიტიკური სირთულეებისა, „ენგურჰესი“ ისევე აწვდის ელექტროენერგიას აფხაზეთს, როგორც — ჩვენი ქვეყნის სხვა ნებისმიერ კუთხეს.

აღვნიშნავთ, რომ „ენგურჰესის“ ოპერირებას ახორციელებდა და მომავალშიც განახორციელებს საქართველოს სახელმწიფო, ჩვენ ვუწევთ მონიტორინგს ჰესის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. „ენგურჰესის“ ექსპლუატაციის სრულ ხარჯს ფარავს საქართველოს მთავრობა“, — ნათქვამია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებაში.

რუსული და აფხაზური მედიის ინფორმაციით, კომპანია „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორი ასლან ბასარია აცხადებს, რომ „ენგურჰესის“ კუთვნილებასთან დაკავშირებით ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები დაწყებულია.

ინტერპრესი

ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის განცხადებით, ჩეჩნეთის მთავრობა რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩნეთის გავლით რკინიგზის მშენებლობის გეგმასაც განიხილავს. ამ საკითხზე კადიროვმა იმ კითხვის პასუხად ისაუბრა, რომელიც ითუმყალედან საქართველოში საავტომობილო გზის მშენებლობის პერსპექტივებს უკავშირდება. კადიროვის განცხადებით, მანამდე სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობას ხელს მიხეილ სააკაშვილის პიროვნება უშლიდა.

ჩეჩნეთის ლიდერის განცხადების საპასუხოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა ემსახურებოდეს ქართული სახელმწიფოს ინტერესს. როგორც თამარ ბერუჩაშვილი აცხადებს, თუ ამ თემაზე იქნება მოლაპარაკება, ეს იქნება განხილვის საგანი და ამის თაობაზე საზოგადოება გაიგებს.

რას ემსახურება კადიროვის განცხადება და რატომ გახდა რუსეთის მორიგი სამიზნე კახეთის რეგიონი, ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge „სამოქალაქო საბჭო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში“ ხელმძღვანელს **შორენა ლორთქიფანიძეს** ესაუბრა.

კახეთის პროექტი რუსეთისთვის ერთ-ერთი დასაყრდენის ძიებაა საქართველოში

— ჩეჩნეთის ლიდერის განცხადების საპასუხოდ, როგორ შეიძლება შეფასდეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ ნებისმიერი პროექტი უნდა ემსახურებოდეს ქართულ სახელმწიფოს? ცნობილია, რომ კადიროვი აყოერებს იმ განცხადებას, რომელიც შედის რუსეთის ინტერესებში...

— მინისტრის განცხადება, ალბათ, გულისხმობს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას მიიღებს იქიდან გამომდინარე, თუ რა ინტერესები აქვს ქვეყანას. რაც შეეხება კადიროვს, ჩვენ კარგად ვიცით რა დირექტივებს ასრულებს და საერთოდ რა პოლიტიკური ფიგურაა. მინისტრის განცხადება უფრო იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პუტინი და კადიროვი რასაც იტყვიან, არ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება ასე მოიქცევა. მე იმედი მაქვს, რომ ბერუჩაშვილმა სწორედ ამ აქცენტებით გააკეთა ეს განცხადება.

— უსაფრთხოების თვალსაზრისით რამდენად სახიფათოა რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩნეთის გავლით რკინიგზის მშენებლობა, იმ ფონზე, როდესაც დაღესტნის მონაკვეთზე საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს გზის მშენებლობა?

— როგორც უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასევე ინფრასტრუქტურულად და ეკონომიკურად კატასტროფულია ეს ბმა რუსეთზე. წარმოუდგენლად მეჩვენება ამ გართულებული ურთიერთობისა და უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე, საქართველომ იფიქროს რუსეთთან ასეთი ტიპის დაკავშირებაზე. ეს პროექტი პირიქით, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენიტეტის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ არ დაუშვას ეს პროცესი? ხელისუფლების მხრიდან რეაგირება ნაკლებად ჩანს იგივე დაღესტნის მიმართულებით საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც მოჰყვა კახეთის რეგიონში პასპორტების დარიგება...

— საქართველოს ხელისუფლებამ გარკვევით და ძალიან პირდაპირ უნდა თქვას, რომ ასეთი ტიპის პროექტების მხარდაჭერისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს და არ ჩაერთვება მასში. ეს ორაზროვანი განცხადებები, რასაკვირველია, გვიტოვეებს ეჭვების საფუძველს. ნათლად და პირდაპირ თუ არ დააფიქსირა ხელისუფლებამ თავისი პოზიცია, ხვალ კადიროვი სხვა გზას შემოგვთავაზებს რუსეთთან დასაკავშირებლად. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებამ ბუნდოვანი განცხადებებით არ უნდა შეუწყოს ხელი ახალი ეჭვების გაჩენას.

ხელისუფლებამ უნდა გაუძლოს იმ ზეწოლას, რაც მოდის რუსეთის მხრიდან და მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე, ასეთი პროექტები არ შედგება და ამით დასრულდება ყველაფერი. თუმცა, პრობლემაც ისაა, რომ ხშირად ხელისუფლება ვერ იღებს სწრაფად გადაწყვეტილებას, რომ ჩანდეს რას უნდა ველოდეთ მისგან. შესაძლოა, ამას ამართლებდეს ის მუდმივი ზეწოლა, რომელიც რეალურად არის რუსეთის მხრიდან.

— ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ არაფორმალური მმართველობის გამო, მინისტრებს უჭირთ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ეს რამდენად აზიანებს ქვეყნის უსაფრთხოებას?

— მგონია, რომ ცოტა უფრო ღრმა ფესვები აქვს ამ გადაწყვეტილების ვერმიღებას, ვიდრე არაფორმალური მმართველობა. სამწუხაროდ, საქართველოში მმართველობის ასეთი სისტემა უკვე, რამდენიმე წელია, არსებობს, კოლექტიური გადაწყვეტილებები არც სააკაშვილის რეჟიმის დროს მიიღებოდა და იგივე გრძელდება დღესაც. პრობლემა სწორედ ეს არის, რომ ეს ტრადიცია ნარჩუნდება და სისტემის ცვლილებაზე არავინ ლაპარაკობს.

რაც შეეხება კითვას, რატომ ვერ იღებენ მინისტრები გადაწყვეტილებას, პასუხი ძალიან მარტივია — არავინ არ გრძობს თავს იმდენად ძლიერად. ვგულისხმობ იმას, რომ შეიძლება ინიციატივა იყოს დასჯადი, შეიძლება, თავი გამოიჩინო, მაგრამ ხვალ არანაირი გარანტია არ გაქვს, რომ ამის გამო არ მოგხსნან, შარს არ მოგდებენ... მე მესმის კიდეც ამ ხალხის, ვერ აკეთებენ იმიტომ, რომ არასოდეს არ იციან რა ელით.

ეს კონკრეტული პირის დანაშაული არაა. ეს არის მმართველობის ის სისტემა, რომელიც წლებია საქართველოში არის და ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, რომ ეს საკითხი გადაეწყვიტა. ძირეულ პრობლემებთან გვაქვს საქმე, რომელიც არ უკავშირდება არც რუსეთს და არც ივანიშვილს. ეს არის სისტემა, რომელიც უნდა შეიცვალოს.

— დავუბრუნდეთ კადიროვის განცხადებას. თამარ ბერუჩაშვილის თქმით, თუ ამ თემაზე იქნება მოლაპარაკება, ეს იქნება განხილვის საგანი. რამდენად სწორია ამ თემის გარშემო მსჯელობა და მოლაპარაკება და, საერთოდ, ვისთან უნდა გაიმართოს მოლაპარაკება, კადიროვთან?

— ძალიან არაინფორმაციულია ეს განცხადება. ისევ მინისტრს უნდა დავუსვათ კითხვა, ვისთან გულისხმობს მოლაპარაკებას, პუტინთან თუ ვიღაცა სხვასთან. ძალიან ორაზროვანი განცხადებაა. ვერ წარმომიდგენია მოლაპარაკება ისეთ არადემოკრატ ლიდერებთან, როგორიც კადიროვია. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება აცნობიერებს ამ საფრთხეებს.

— რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის მორიგი სამიზნე ხდება კახეთის მიმართულება, დაღესტნის საზღვარი?

— აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ჯავახეთში თავისი ფესვების გამოჩენა, ახლა კახეთის რეგიონი... პუტინი შეიძლება დარწმუნებულია, რომ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში ჰყავს კადიროვი, შეიძლება ეს „ინტერვენცია“ წარმატებული გამოდგეს, ანუ კიდევ ერთი გზა საქართველოზე გავლენის მოსახდენად. რუსეთის მხრიდან სახეზეა გარკვეულ მარწუხებში საქართველოს მოქცევა. იმედი მაქვს, რომ ეს მცდელობა არ გამოუვა ისევე, როგორც ჯავახეთში არ გამოუვა თავისი გეგმების განხორციელება.

რუსეთი ცდილობს, კახეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან მოხდეს საქართველოში შემოსვლა და თავისი დასაყრდენის მოპოვება, რადგან ინტელექტუალურ და საზოგადოების გარკვეულ ფენებში, რომლებსაც საზოგადოებაზე გარკვეული გავლენა აქვს, ვერ მოახდინა გავლენა. ამიტომ, ახლა ამ კუთხით ცდილობს გავლენის მოპოვებას, სარგებლის მიღებას და ძლიერი დასაყრდენს მოძიებას.

— ძლიერი დასაყრდენი არ არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ღიად ახმოვანებენ რუსეთის მხარდაჭერას, თუნდაც ნინო ბურჯანაძე?

— რასაკვირველია, არის დასაყრდენი, მაგრამ ეს მაინც მარგინალური ჯგუფებია და არც ისე დიდი გავლენის მქონე ქართველ საზოგადოებაზე. მე მგონია, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ბურჯანაძეს აღარ აღიქვამს როგორც ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალას და ეჭვი მაქვს, რომ მას მომავალი ჰქონდეს ქართულ პოლიტიკურ ველზე. ძალიან ბევრია დამოკიდებული მთავრობის პოზიციაზე, როგორ იმოქმედებს, რა პოლიტიკას გააგრძელებს.

მთავარია, რამდენად გაბედული იქნება საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში, რომ დიპლომატიური, მაგრამ ძალიან მკვეთრი განცხადებები და მესიჯები გააკეთოს, რომ არ წავა რუსეთთან ასეთი ტიპის მოლაპარაკებებზე, რომელიც დღეს ნამდვილად დამაზიანებელია საქართველოს შიდა პოლიტიკური სტაბილურობისთვის და ევროატლანტიკურ სივრცეში დაახლოებისა და ინტეგრირების კუთხით. ასე რომ, კახეთის პროექტიც ერთ-ერთი დასაყრდენის ძიებაა რუსეთის მხრიდან, რაც ჩვენ არ უნდა დავუშვათ.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ **კაკალ გულში**

წერილოვანი ფრაზები

წუხელ მამა-შვილი გაბაშვილები დამესიზმრაო...

● **როგორც ავტომანქანების მფლობელებს აწუხებენ ავტობუსის კონტროლიორები, ზუსტად ისე მაწუხებს მეც სითი პარკი, გარაჟები და პარკინგები (და ცოტა უფრო „საყვარლად“). ნებისმიერ მანქანაზე, რომელიც ჩემს სავალ ბილიკზე იდგება და მე შემთხვევით გავეხასუნები, ზუსტად ისე დამწყდება გული, როგორც ავტომფლობელებს — გაჩერებებზე კონტროლიორებისგან დაჯარიმებულ პენსიონერებზე და სკოლის მოსწავლეებზე!**

ნიჩურტა, მერე არ მითხრათ მხარს რატომ არ გვიჭერო!

● **შობა-ახალწლის მილოცვის ბოლო ვადა როდისაა?**

● **ძნელია იმედგაცურება (არ შემშლია).**

უკვე მესამე დღეა, რაც კოჟორიძის რჩევებით ვცხოვრობთ და მაინც არ დაგვეტყო უკეთესობა.

● **ხომ ამბობენ, განავალი რომ დაგესიზმრება, ფულს იშოვიო?**

ჰოდა, წუხელ, მამა-შვილი გაბაშვილები დამესიზმრა და ეტყობა, ძალიან დიდ ფულს ვიშოვი...

● **ანიტა რაჭველიშვილი და ნიკოლოზ რაჭველი. ეტყობა, უცხოეთში „ჭ“-ს კარგად ამბობენ...**

● **ბატონ...არა, ბატონ კი არა, საბატონე ნუგზარ წ-ს განუცხადებია, რომ თუ მთავრობა იქ რაღაცაზე უარს არ იტყვის, დაიწყებაო საყოველთაო აქციები.**

აქ მე მოვიშველიებ ჩემს მიერ სემინარიაში მიღებულ ლათინური ენის ღრმა ცოდნას და ვიტყვი „ედრანა მატ ეტოტ ვაშ ნუგზარ!“

რაც მშობლიურ ხუცურ ენაზე ნიშნავს: „ჭეშმარიტებავ, აწი ნუგზარა უნდა დაგიძახო შენ!“ ოღონდ ერთი დაიყროყინოს ნუგზარ წ-მ და მთელი ერი თავის ბერიანად გამოვა გარეთ და...და სიამოვნებით შეხედავს თუ როგორ აპროტესტებს ნუგზარა და მისი კამანდა რაღაცას, რაც მათ მსოფლსიბრმავეში არ ჯდება.

ოჰ, ამ ჩვენ ძალად ლიბერალურ მთავრობას რა ვუთხარი, ნუგზარა და მისი კამანდირები ჯერაც რომ გამოდიან სიტყვით.

მაგრამ (აქ კი მე ბაღდადელ მაიაკოვსკის მოვიშველიებ), „რადგან ნუგზარა უბოდიშოდ ყროყინებს, ესე იგი ეს ვიღაცას უნდა“.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ **წკეპლიკა**

ნარდის თამაში, როგორც აუცილებელი ატრიბუტი ბაბლუანის რესპონდენტთან საუბრისას?

მაგრამ ვინ არის რესპონდენტი ამჯერად? როგორ არ იცით, ეს ისაა, თავის დროზე მიზანში რომ მოსწავლეთა სასახლე ამოიღო საკუთარი ბიზნესისთვის, ეს ის კაცია, მეუღლესთან ერთად რომ ცდილობდა, ასობით ნიჭიერი ბავშვი გაეყარა სასახლიდან. ეს ის კაცია, რომელსაც რუსეთის პასპორტი ედო ჯიბეში, სანამ რუსეთის დუმამ არ დააყენა მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი, მანამდე იგი დუმდა. ეს ხომ ნონსენსი იყო: საგარეო საქმეთა მინისტრი იმავდროულად — მტრული ქვეყნის მოქალაქე. ალბათ, გახსოვთ, „ბარიერის“ გადაცემაში, როგორ გვმოძღვრავდა დიპლომატიისათვის სრულიად მიუღებელი ლექსიკით, თანაც ტრაბახობდა: თურმე მისი უწყებიდან დაიწყო ნამდვილი დიპლომატიური საქმიანობა, რომ მან გადაშალა ქართული დიპლომატიის ახალი ღირსეული ფურცელი, რომ დაიწყო ქართული დიპლომატიის აყვავება.

პატივცემულო მკითხველო, ალბათ, გახსოვთ, როგორ შესციცინებდა მერაბიშვილს თვალებში, ზურგზე ხელს უთათუნებდა, ეფერებოდა. ეს ის გრიგოლ ვაშაძეა, თქვენ კი ყოჩაღ, ბაბლუანო!

ლონდა მდივანი

◎ „ძველი სპეციალისტი“ ამხელს

ციხის კადრების შემდეგ არაფერი შეცვლილა?!

ელენე თევდორაძე:

პენიტენციური სისტემის რეფორმისთვის იქ მომსახურე კონტინგენტის ასი პროცენტით შეცვლაა საჭირო

— ძალბატონო ელენე, ხელისუფლებამ ახალი წელი სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებით დაიწყო, რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლების დროს მიღებული ძალიან ბევრი კანონი ლიბერალიზაციას საჭიროებს, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ცვლილებები კანონს უფრო ართულებს, რასაც მოჰყვა კიდეც საზოგადოების პროტესტი..

— მე პირადად მივესალმები „უდოსთან“ დაკავშირებულ ცვლილებას. 1997 წელს პირველად ჩავატარეთ პენიტენციალური სისტემის რეფორმა, მაშინ მივიღეთ პატიმრობის შესახებ კანონიც. ეს იყო პირველი კანონი, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო გადავიდა იუსტიციაში. აქედან გამომდინარე შემოვიდა ბევრი სიახლე, რომელიც ეხებოდა ასევე ე.წ. „უდოს“. თავიდან ჩვენ გვქონდა შეტანილი, რომ „უდოს“ საკითხს იხილავს ადგილობრივი საჭოები და არა ცენტრალურ ორგანოში შეკრებილი კომისია. ჩვენ ამ ნაბიჯის სისწორეში დარწმუნებული ვიყავით იმიტომ, რომ პატიმარი რომელიც მაგალითად ცხოვრობს ქუთაისში, ქუთაისის საზოგადოება უფრო იცნობს იმ ადამიანს, უფრო მეტი ინფორმაცია აქვს ამ ადამინზე და აქედან გამომდინარე, თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, როცა იძლევა დადებით გადაწყვეტილებას. მაგრამ გააჩნია რა პრინციპით შეიქმნება ეს საბჭოები. საბჭოებში უნდა იყვნენ არასამთავრობო ორგანიზციები, არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ის ადამიანები, რომელთა მიმართაც არის განსაკუთრებული ნდობა საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, თუ ეს პროცესი სწორად წარიმართება, მე ფიქრობ, რომ ამას მეტი დადებითი შედეგი ექნება. რაც შეეხება „უდოს“ კომისიას, მათ ინფორმაცია მოსდით ციხიდან, ისინი ძალინ ხშირად არ იცნობენ პატიმარს, რომელიც სანამ ციხეში მოხვდებოდა რას წარმოადგენდა საზოგადოებისთვის. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოება უფრო მეტად იქნება დაცული იმ ადამიანებისგან, რომლებიც განთავისუფლდებიან „უდოს“ წესით. კიდევ ვიმეორებ, გააჩნია როგორ დაკომპლექტდება ეს საბჭოები, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაკომპლექტებული ციხის ხელმძღვანელობიდან, შეიძლება ციხიდან იყოს მხოლოდ ერთი — სოციალური მუშაკი და მეტი არავინ.

— პარლამენტმა გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩასატარებელ ჩხრეკა-ამოღებისას, გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის ვალდებულება ძალაში დატოვა, ვინაიდან ამ ცვლილებას არასამთავრობოთა სახით ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა, საინტერესოა, რატომ ცდილობს ხელისუფლება ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას?

— მე რომ პარალამენტში ვყოფილიყავი, ნამდვილად წავიდოდი ამ ცვლილების წინააღმდეგი. ჩვენ არ ვართ დაზღვეული იმისგან, რომ ყველა გამომძიებელი კეთილსინდისიერად მოიქცევა. ამის კონტროლი ძალიან რთული იქნება. როცა მე ვთვლი, რომ ეს იყო უკანონოდ ჩატარებული ჩხრეკა, მე ვერ დავიცავ ჩემს უფლებებს. ამიტომ, გამიკვირდა კიდეც რომ ეს ინიციატივა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიდან გამოვიდა.

— როგორ ფიქრობთ, შემცირდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები?

— ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგანაც გარკვეულწილად სიტუაციას ჩამოვშორდი. მაგრამ მინდა, აქცენტი გავაკეთო სოციალურ უთანასწორობაზე. როდესაც ქუჩაში გავდივარ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაჩერებენ ჩემთვის უცნობი ადამიანები და ლაპარაკობენ ძირითადად თავიანთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე, ისინი ამბობენ, რომ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

— ხელისუფლება ვერ უარყოფს, რომ მის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ე.წ. „ციხის კადრებმა“ ითამაშა, თუმცა, ვხედავთ, რომ ციხეებში თითქმის იგივე მდგომარეობა დარჩა რაც წლების წინ იყო..

— ამ შემთხვევაში საჭირო იყო თანამშრომლების, მომსახურე კონტინგენტის ასი პროცენტით შეცვლა. პენიტენციალურ სისტემაში დარჩა ძალიან ბევრი ძველი თანამშრომელი, მათ კი სხვა მეთოდები არ იციან. მაგრამ მეორეს მხრივ, სად უნდა ვნახოთ ჩვენ კომპეტენტური კადრები, რომლებიც დათანხმდებიან ამ მძიმე სამუშაოს? სამწუხაროდ, პენიტენციალისტები საქართველოში არ არიან. მე ამ საკითხს არაერთხელ ვაყენებდი არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ დისკუსიების დროსაც. ჩემი აზრით, საჭირო იყო, რომ უნივერსიტეტებში ყოფილიყო გარკვეული მიმართულება, სადაც მომზადდებოდნენ პენიტენციალისტები. სანამ ჩვენ ისინი არ გვეყოლება, ჩვენ ყოველთვის გვექნება ის სიტუაცია, რომელიც სამწუხაროდ დღესაც გრძელდება.

— თუ აღმოჩნდა ამგვარი დიდი გამოწვევებისთვის ხელისუფლება მზად?

— ხელისუფლებას მხოლოდ სურვილი კი არ უნდა ქონდეს ცვლილებების, ინსტრუმენტიც უნდა ჰქონდეს, რაც ჯერჯერობით არ აქვს“.

„ივერიონი“

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

საგადასახადო შემოსავლის ზრდის „სამი ვეშაპი“

ისევე როგორც წინა ორი წლის, ასევე წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველიც სამთავრობო პროგრამაა — „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“. მისი მთავარი მიზანი კი, როგორც ცნობილია, ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფაა. „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ წლის განმავლობაში მიღებული დამატებითი საგადასახადო შემოსავალი, რომლის მიღება ეკონომიკურმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს, სოციალური დონის ამაღლებასთან ერთად, საბიუჯეტო დეფიციტის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 3 პროცენტამდე შემცირებას მოხმარდება.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ წლევანდელი ბიუჯეტით პენსიების ათლარიანი ზრდაა გათვალისწინებული. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა, ამდენად მის განხილვას აღარ შევუდგებით. **გაცილებით უფრო საყურადღებოა პედაგოგთათვის ხელფასების გაზრდა** — მართალია, ეს ნაბიჯი, პირველ ყოვლისა, მასწავლებლებისთვის მატერიალური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, მაგრამ მას დიდი სოციალური დატვირთვაც აქვს — პედაგოგის ურთულესი და უდიდესი შრომა რაც მეტად დაფასდება, მით უკეთესი საზოგადოება იქნება ქვეყანაში მომავალში. **საგულისხმოა ასევე კაპიტალური ხარჯის ზრდა:** წლეულს ამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 1,2 მილიარდ ლარზე მეტი თანხაა გათვალისწინებული. წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის ამ პრიორიტეტულ მიმართულებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შარშანდელი ბიუჯეტის ხარჯის ნაწილის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრების აუთვისებლობა გახდა, რის თაობაზეც არგუმენტირებული პასუხი საზოგადოებამ მაინც ვერ მოისმინა. 2014 წლის ამ მწარე გაკვეთილს თუ გავითვალისწინებთ, წლეულს დასახარჯი 1,2 მილიარდ ლარზე მეტი, ზოგიერთ ექსპერტში გარკვეულ სკეფსისს იწვევს, რაც არც არის გასაკვირი. არადა, მეტად საინტერესოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ამ ინდიკატორ მაჩვენებელთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტრო არანაირად არ ყოყმანობს. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ იმასაც, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შარშან, წლის მეორე ნახევარში, საინვესტიციო პროექტების შესრულების მაჩვენებელი საგრძნობლად გააუმჯობესა, რაც ოპტიმისტური დასკვნების გამოტანის საფუძველს ჰქმნის. თანაც, **მთელი 2014 წლის მანძილზე სამინისტრომ, თავისი არსებობის მთელი ხნის მანძილზე, ყველაზე მეტი კაპიტალური პროექტი განახორციელა.** ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დიდი საინვესტიციო პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული დონორების მიერ თავიანთი ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებაზე, მათთან ურთიერთობის ეფექტიანობის ხარისხზე. სწორედ ამ პირობების არასათანადოდ შესრულება ხდებოდა ხოლმე წინა წლებში თანხების არასრული მოცულობით ათვისების მიზეზი და დამტკიცებული ინდიკატორი მაჩვენებლების კორექტირებას, მათ საგეგმო მაჩვენებლების 80-85-მდე შემცირებას საჭიროებდა.

როგორია წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის კონტურები, რა ამოცანების გადაჭრაზეა იგი ორიენტირებული უფრო მეტად?

ბუნებრივია, რომ ყველა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი პარამეტრია **საგადასახადო შემოსავალი,** რომელზეც სახელმწიფოს კარგად თუ ავად ყოფნაა დამოკიდებული. საყურადღებოა, რომ ამ მხრივ წლეულს მისი ინდიკატორი მაჩვენებელი 7 პროცენტით მეტია შარშანდელზე, რომელიც, როგორც ცნობილია, გარკვეული გადაჭარბებით შესრულდა. ასეთი საგრძნობი ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ავტორთა აზრით, „სამ ვეშაპზე“ დგას. ესენია, კერძოდ, **ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზრდა, ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის შემცირება.** ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შემოსავლების ერთიან „ყულაბაში“ საკმაოდ წონადი იქნება **1 იანვრიდან საგრძნობლად გაზრდილი აქციზის გადასახადი თამბაქოსა და ალკოჰოლიან ნაწარმზე.** მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოსახლეობის ჯანდაცვის სფეროში მთავრობის პოლიტიკის შედეგად, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ზრდას მომდევნო წლებშიც უნდა ველოდოთ.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ წლევანდელი ბიუჯეტის საფუძველია სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“. ამ სათაურსა თუ ლოზუნგში სიტყვათა შერწყმა, „სოციალურად სამართლიანი“ წარმოდგენილი არ არის, თუმცა კი, ამ პრინციპის რეალურ ცხოვრებაში გასატარებლად გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მთავრობამ, როგორც იქნა, გაბედა. **1 იანვრიდან ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მდგომარეობის შეფასების ახალი სისტემა ამოქმედდა, რომლის წყალობით სოცმუშაკებმა გაცილებით ობიექტურად უნდა შეაფასონ უღარიბეს ოჯახთა მდგომარეობა და ბავშვთათვის განკუთვნილი შეღავათები.** ეს, ცხადია, დიდად მისასალმებელია, ოღონდ ერთი რამ ამთავითვე იპყრობს საზოგადოების ყურადღებას: **სიღარიბის ზღვარზე და მის ქვემოთ მყოფი პირების მდგომარეობის შეფასებას, სტატუსის დადგენასა და, შესაბამისად, დახმარების თუ შეღავათის ოდენობის განსაზღვრის აქამდე არსებული სისტემა თავისი კრიტერიუმებით იმდენად არაჰუმანური და ანტისოციალური იყო, რომ „იმაზე ობიექტური“ მიდგომების არსი, პრინციპში, არაფრის მთქმელია.** ამდენად, როგორი იქნება ახალი სისტემის მიერ მოტანილი რეალური შედეგი, ამას ყველანი მალევე დავინახავთ.

მთავრობის სამომავლო სოციალური პოლიტიკისადმი ერთგვარად სკეპტიკურ დამოკიდებულებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ **გაისად, ის მოქალაქეები, ვისი შემოსავალი წლიურად 6 ათას ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავ მინიმუმს (მოწყალებასავით 360 ლარს!) ვეღარ მიიღებენ, თუმცა კი, შარშანაც ასე იყო და ამის გაკეთება წელსაცაა დაგეგმილი. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ამ გადაწყვეტილების მიზანია სახსრების უფრო ეფექტიანი გადანაწილება და ამით ყველაზე გაჭირვებულ პირთათვის მეტი სარგებლის მოტანა, უაღრესად კეთილი ზრახვის შირმად გამოყენების აშკარად ჩავარდნილი მცდელობაა, რომელსაც სოციალური სამართლიანობის პრინციპთან საერთო ბევრი არაფერი აქვს.**

ისე კი, იმავე ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოში წლეულს დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის 5-პროცენტიანი საპროგნოზო მაჩვენებელი, რეგიონში კვლავაც ყველაზე მაღალია.

ახლა საქმე მხოლოდ მის შესრულებაზეა.

ოთარ ტურაბელიძე

ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიღწევების შესახებ

მეცნიერებათა აკადემიის გეგმები და პრიორიტეტები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთობლივი გადაწყვეტილებით, მეცნიერთა მიღწევების საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობის მიზნით, ბეჭდური მედიის საშუალებით, პერიოდულად გამოვაქვეყნებთ ინფორმაციებს, თუ რა ხდება მეცნიერებათა აკადემიაში, რა სიახლეებია და რა მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა მეცნიერებათა აკადემია, რომელია ის პრიორიტეტული პროექტები, რაც დღევანდელი მეცნიერებისთვისაა მნიშვნელოვანი.

მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ფუნდამენტური კვლევების წარმართვა და მათ შედეგებზე დაყრდნობით მეცნიერებატევადი პროდუქციისა თუ თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება, საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტებისთვის წინადადებების შემუშავება, მიმდინარე მსხვილი პროექტების მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხელისუფლების, ბიზნესმენების და საზოგადოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

ქართველი მკითხველი ნამდვილად დარწმუნდება და უდავოდ პოზიტიურად განიმსჭვალება იმ მკვლევართა მიმართ, რომელნიც მიზერული ხელფასისა და მძიმე სოციალური რეალობის პირობებში საკუთარი ინტელექტის უკიდურესი დაძაბვის რეჟიმში ახერხებენ ისეთი მაღალი შედეგების მიღწევას, რომელთა მიმართ მსოფლიოში ჭეშმარიტად არსებობს ფართო ინტერესი. სწორედ მეცნიერებაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ 2014 წლის 9 დეკემბერს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, რასაც ქართველი საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა მოჰყვა.

მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ჩვენი ქვეყნის მეცნიერების თანამედროვე დონეზე ინტენსიური განვითარებისთვის და ამ პროცესში აკადემიის მუშაობა მთლიანად ემყარება მთავრობის დოკუმენტებს — „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას — საქართველო 2020“ შინაარსსა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. ამჟამად, აკადემია აძლიერებს კავშირებს საზღვარგარეთის, პირველ რიგში კი, ევროკავშირის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან. 2014 წლიდან იგი არის ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ფედერაციის (ALLEA, Berlin — ამ ორგანიზაციაში შედის ევროპის 42 ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია) და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიათა კავშირის (Union Academique Internationale) წევრი, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს 65 ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია.

აკადემია უფრო აქტიურად ასრულებს საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩევლის ფუნქციას; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, მოხდა მჭიდრო კონტაქტების დამყარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მიგვაჩნია, რომ ასევე, აქტიურად უნდა ჩავერთოთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საექსპერტო შეფასებების პროცესში; გაფართოვდა ურთიერთობა უცხოეთში მოღვაწე 400-მდე ქართველ მეცნიერთან, რომელნიც აქტიურად ეკონტაქტებიან თანამემამულე კოლეგებს. მეცნიერებათა აკადემიასა და რამდენიმე სამთავრობო უწყებას შორის (თავდაცვის, ენერგეტიკის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, საპარტნიორო ფონდი) გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები.

მეცნიერებათა აკადემია, ყოველთვის იყო და იქნება ქვეყნის სამეცნიერო და ინტელექტუალური ცენტრი. იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკის სამეცნიერო-საინოვაციო სექტორის მუშაობაზე სანდო ინფორმაციის მოპოვება ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, აკადემია კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს კვლევითი დაწესებულებების მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგების ექსპერტულ შეფასებას და ყოველწლიურად ხდება ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო დაწესებულებების დასახელება და მეცნიერების მსოფლიო დღეს, რომელიც „იუნესკოს“ ეგიდით მთელს მსოფლიოში ყოველწლიურად 10 ნოემბერს ტარდება, წარმატებულ მეცნიერთა საპატიო სიგელებით დაჯილდოვება.

მეცნიერების სფეროში პრიორიტეტების დასადგენად და არსებული რესურსების ეფექტური განაწილებისთვის, აკადემიამ პირველად დაიწყო მუშაობა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო და საზოგადოებრივ აკადემიათა კოორდინაციის მიმართულებით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, 2014 წლის 6 ივნისს, შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომლის ამოცანაა ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ახალგაზრდა მეცნიერთა კონტაქტების დამყარება და ა.შ. გასულ წელს, ასევე მოეწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკოს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მონაწილე წარმატებული პროექტების ავტორებს საპატიო დიპლომები გადაეცათ.

მეცნიერების სფეროს დაფინანსება საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროკავშირის თუნდაც ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს და ექსპერტთა შეფასებებით მეცნიერების დაფინანსების წილი მთლიანად შიდა პროდუქტის 0,2%-ს არ აღემატება. ამის მიუხედავად, ათას სულ მოსახლეზე, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობით ჩვენი ქვეყანა 15 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის მხოლოდ ბალტიის ქვეყნებსა და რუსეთს ჩამორჩება. ჩვენს მეცნიერებას რეალურად ისეთი პოტენციალი აქვს, რომ ნორმალური დაფინანსების შემთხვევაში, მას ძალუძს საგრძნობლად აამაღლოს ეს მაჩვენებელი. ცხადია, რომ მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებით ამ პრობლემას ვერ გადავწყვეტთ, მეცნიერების დაფინანსებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს ბიზნესი (წამყვან ქვეყნებში მისი წილი მეცნიერების დაფინანსებაში 70%-ს აღემატება); აგრეთვე, გამოყენებულ უნდა იქნეს საზღვარგარეთის სამეცნიერო ფონდების და დონორი ორგანიზაციების შესაძლებლობები.

ჩვენი სამეცნიერო ელიტა მოთხოვნადია სუპერ სახელმწიფოების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის პროცესშიც. ამის მკაფიო მაგალითია ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შანდუნის პროვინციის ქალაქ იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის თანამშრომლები ეწვივნენ და 2014 წლის მაისში გაფორმდა ხალშეკრულება, რომლის თანახმად, შეიქმნა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ჩინეთ-საქართველოს სამეცნიერო ცენტრი, რაც ქართველ მეცნიერთა კვლევებისა და ჩვენს ქვეყანაში დამუშავებული მაღალი ტექნოლოგიების ჩინეთში კომერციალიზაციას გულისხმობს. საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობის ექვს პროექტს, მათ შორის, ჩინეთის მხარის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ცალკეულმა მიკრობულმა კულტურებმა, როგორც ფერმენტების მიკრობული ბიომასის, მცენარეული და მიკრობული ბიოლოგიურად და ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების და სხვა პროდუქციის წარმოებამ. ამის შემდგომ, 2014 წლის აგვისტოს თვეში, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე გახლდათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ქალაქ იანტაიში საზეიმოდ გახსნა ჩინეთ-საქართველოს სამეცნიერო ცენტრი, სადაც უკვე მუშაობს ორი ქართველი მეცნიერი.

ჩვენს ქვეყანაში ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანასთან შედარებით, ჯერჯერობით არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება XXI საუკუნეში მთელს მსოფლიოში აღიარებულ პრიორიტეტს — ბიოტექნოლოგიას. ამ სფეროში უნდა აღინიშნოს ბიოსაწვავის — ბიოეთანოლის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც გახლავთ საფუძველი აშშ-სთან ერთობლივი პროექტის დამუშავებისა. ბიოეთანოლის წარმოების პროცესის მნიშვნელოვანი მალიმიტირებელი ფაქტორია ეფექტიანი, სტაბილური და იაფი ფერმენტული პრეპარატების მიღება, რის გამოც ამ მიმართულებით მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს კვლევები. მცენარეული ბიომასის ფერმენტული ჰიდროლიზისათვის ფერმენტების შერჩევა ხორციელდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმების კოლექციებიდან, საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში, რომლებიც მიმდინარეობდა ლოურენს ბერკლის დეპარტამენტის (US DOE) დაფინანსებით. პროექტების ინდუსტრიული პარტნიორია კალიფორნიის ფირმები Diversa Pioneer და NoviChi. აღნიშნული პროექტი მოექცა აშშ-ის მაღალი პოლიტიკური წრეების ინტერესთა სფეროში და რეგულარულად მიმდინარეობს ჩვენს მხარესთან სამეცნიერო კონსულტაციები, რადგან ქართველ მკვლევართა წილი ამ საქმეში უდავოდ უპირატესია.



მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფების მიკროორგანიზმების კოლექციის შექმნა, რომელშიც შტამების რაოდენობა საქართველოში 10000-ს უახლოვდება, ეს იმის ფონზე, რომ მულტინაციონალური კომპანია „მონსანტო“-ს მიკრობიოლოგიური კოლექცია მსოლოდ 3500 შტამს ითვლის. სწორედ ეს კოლექცია გახლდათ იმ ბიოტექნოლოგიების საფუძველი, საიდანაც შერჩეული იქნა მიკრობული შტამები საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ფიტორემედიაციული „მწვანე ფილტრის“ ტექნოლოგიის დამუშავების მიზნით, რომელიც ეფუძნება მცენარის უნარს გარემოდან შეითვისოს და გააუვნებელყოს ორგანული პოლუტანტები. კვლევაში გამოიყენებოდა უახლესი თანამედროვე მეთოდები — რადიოაუტოგრაფიული ელექტრონული მიკროსკოპია, მეტაბოლური ანალიზი 14ჩ რადიაქტიული იზოტოპების გამოყენებით და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ წმინდა თეორიული კვლევების ბაზაზე, ახალი პრაქტიკული მიდგომის შედეგად ჩამოყალიბდა ორიგინალური ეკოლოგიური კონცეფცია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ მთელი პლანეტის მასშტაბით ეკოლოგიური კატასტროფის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორად.

აკადემიაში ასევე შეიქმნა სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისია, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მეცნიერთა და სპეციალისტთა რეკომენდაციების საფუძველზე განიხილა ოცამდე პერსპექტიული პროექტი და შერჩეული დასაბუთებული წინადადებები წარუდგინა საქართველოს მთავრობასა და ბიზნესწრეებს პრაქტიკაში გამოსაყენებლად. კომისიის რეკომენდაციით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014 წლის 16 ივლისს ერთობლივი ღია კრება ჩაატარეს, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის და სასურსათო უსაფრთხო-

ების პრობლემებს. კრებაზე წარმოდგენილ ანალიზში, რეკომენდაციებსა და დასკვნებში, პრინციპული შეფასება მიეცა სოფლის მეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას, იმ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს წარმოების დაცემას, რესურსების არარაციონალურ გამოყენებას, სასურსათო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკების ჩამოყალიბებას, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრ შემცირებას, რის შედეგად მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე; შეშფოთებას იწვევს იმპორტირებული სურსათის დაბალი ხარისხიც. კომისიის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მის ბაზაზე 2014 წლის ოქტომბრიდან შეიქმნა ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე ხელმძღვანელობს.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების გამო ამ მიმართულებით ფუნდამენტური მეცნიერული კვლევები შესაბამისი პროფილის კვლევით დაწესებულებებში, სრულიად ახალ ასპექტში მიმდინარეობს. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ოკეანეების ყოველმხრივი გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევის შედეგად და აგრეთვე, სეისმური ტომოგრაფიისა და კოსმოსური გეოდეზიის მონაცემების საფუძველზე, ჩამოყალიბდა შეხედულებათა ახალი სისტემა, რომელიც თანდათან გადაიზარდა ახალ უნივერსალურ გეოლოგიურ თეორიაში ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის სახელწოდებით. ფილების ტექტონიკას ბუნებრივია მოჰყვა დედამიწის ლითოსფეროს აგებულებისა და განვითარების სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია. რელიეფის წარმოქნის, კლიმატის ცვალებადობის, მაგმატიზმის, ნალექდაგროვების, დედამიწის ტექტონიკური დეფორმაციებისა და სეისმურობის, ცოცხალი ორგანიზმების მიგრაციისა და განსახლების პრობლემები. დაბოლოს, სასარგებლო წიაღისეულის განაწილების სივრცულ-დროითი კანონზომიერებანი ბუნებრივად დაუკავშირდა ლითოსფეროს ფილების გადაადგილების ისტორიას და ფილების ტექტონიკა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მყარი თეორიული საფუძველი გახდა.

საქართველოს ტერიტორია და მთლიანად კავკასია ახალი გეოლოგიური თეორიის საფუძველზე ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების კვლევისათვის უნიკალურ ბუნებრივ ლაბორატორიად იქცა. ეს რეგიონი აღმოჩნდა ერთგვარი „სასინჯი ქვა“ (პოლიგონი) ამ თეორიის მთელი რიგი პოსტულატების შესამოწმებლად. ქართველი გეოლოგებისა და გეოფიზიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი უკვე სამი ათეული წელია ჩაბმულები არიან ამ ახალი თეორიის საფუძველზე კავკასიის ყოველმხრივ შესწავლაში. სწორედ ამ კვლევების შედეგების სინთეზირება მოხდა საქართველოს ტექტონიკურ ახალ ციფრულ რუკაზე, რომელიც დედამიწის ქერქის აგებულების, მათ შორის, შედარებით ღრმა ჭაბურღილებისა და გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე, მისი სიღრმული აგებულების, შემადგენელი დანალექის, მაგმური და მეტამორფული ქანების ხასიათის, მათი განლაგებისა და გეოდინამიკური ბუნების შესახებ მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს. რუკაზე ნაჩვენებია აგრეთვე ქანების მიერ განცდილი დისკრეტული ხასიათის ტექტონიკური დეფორმაციები და მათი ჩამოყალიბების ისტორია, დედამიწის ქერქში განვითარებულ ტექტონიკურ ძაბვათა ველის ხასიათი და ქერქის უახლესი (ნეოტექტონიკური) და თანამედროვე ჰორიზონტალური მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ რუკის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა და მისი შედგენის პრინციპები საფუძვლად დაედო მთელი კავკასიის საერთაშორისო ტექტონიკური რუკის შედგენას, რის გამოც, ზედიზედ მეორედ იქნა მოპოვებული შვეიცარიის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის SCOPES-ის გრანტი.

დღეისათვის საქართველოში შექმნილია ეკოლოგიურად უაღრესად საშიში მდგომარეობა ანთროპოგენური და ტექტონური ტოქსიკური ნარჩენების გამო. რის შედეგადაც, უშუალო საფრთხე ემუქრება მოსახლეობის არამარტო ჯანმრთელობას, არამედ, სიცოცხლესაც. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ეს მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ბუნების დაცვის საქმიანობაში მეცნიერთა კორპუსის ჩართვა და წამყვან მეცნიერთა აზრის გათვალისწინება.

ამჟამად, მსოფლიოში თიხაფიქლების გაზის ე.წ. შეილგაზის მოპოვება ქანის ხელოვნური ჰიდრავლიკური დახლეჩით ე. წ. „ფრეკინგით“ ეკონომიკურად მისაღები გახდა მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს. შეილგაზის მოპოვებამ აშშ-ში წლიურ 250 მილიარდ კუბომეტრს გადააჭარბა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება „გაზპრომის“ წლიურ ექსპორტს ევროპაში. თიხაფიქლების მდიდარი მარაგების ათვისების სამუშაოები მთელს მსოფლიოშია გაშლილი, ამ პრობლემის კვლევას საქართველოს ტერიტორიაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის განვითარებისთვის.

ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმდინარე კონტრაქტის შესაბამისად, ქართველი მეცნიერები ქმნიან ახალი თაობის დიდ გასაშლელ კოსმოსურ რეფლექტორულ ანტენას, ევროპული და ამერიკული კოსმოსური აპარატებისათვის. ამ მხრივ, უცხოელ მეცნიერთა დაინტერესება გამოიწვია გასულ წელს, ევროპული კოსმოსური სააგენტოს ეგიდით თბილისში ჩატარებულმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა დიდგაბარიტიან კოსმოსურ ნაგებობებს. მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს აშშ-ში ინგლისურ ენაზე გამოიცემა ქართველ მეცნიერთა მიერ მომზადებული მონოგრაფია — ***„ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები კოსმოსსა და დედამიწაზე“.*** აღნიშვნის ღირსია ქართველ მეცნიერთა მიერ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის ხიდების შექმნა, უკვე დამზადებულია მრავალმალიანი ინვენტარული გასაშლელი ხიდი.

საქართველო მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი რესურსების ქვეყანაა, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს ეროვნულ ეკონომიკაში რესურსების მაღალეფექტიანად გამოყენებისათვის და ამ მიზნით ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რაც დიდ როლს შეასრულებს განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებული მწვავე პრობლემების — უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევაში. ამჟამად მომზადებულია კაპიტალური ნაშრომი (ორტომეული), რომელშიც ბუნებათსარგებლობის ამოცანების, ქვეყნის პრიორიტეტებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, თავმოყრილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის მასალა საქართველოს ბუნებრივი და ადამიანური რესურსების პოტენციალის შესახებ, არა მხოლოდ დღევანდელი დღის არსებითი პრობლემების, არამედ, ახლო და შორეული რესურსების შენარჩუნებისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრინციპების გათვალისწინებით.

ეს პუბლიკაცია გახლავთ ფრაგმენტი ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიღწევების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პერმანენტულად მოგაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება ქართულ სამეცნიერო წრეებში, რა გეგმებსა და პერსპექტივებს სახავს მეცნიერებათა აკადემია 2015 წლისთვის.

P. S. დაბოლოს, გვსურს, საზოგადოებას კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია ვამცნოთ, — მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეს“ მსოფლიო მასშტაბის მაღალი რეიტინგის — „იმპაქტ ფაქტორის“ სერტიფიკატი მიენიჭა.

ირაკლი ჟორდანია.
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

◎ დაესწრება, არ დაესწრება?..

პრეზიდენტის ფორმალური და პოლიტიკური კონტექსტები

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას: **„იმედი მაქვს, არ განმეორდება შარშანდელი შემთხვევა, როდესაც მთავრობამ ვერ მოახერხა დასწრებოდა პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას“,** — პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ასე გამოეპასუხა: **„მე არ ვთვლი საჭიროდ, რომ პრეზიდენტის სიმბოლურ გამოსვლებს, მთავრობა და პრემიერ-მინისტრი დაესწრონ“.**

„ახალი კონსტიტუციით მთავრობა მართლაც არ არის ვალდებული, რომ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას დაესწროს. ეს პრეზიდენტის სიმბოლური გამოსვლაა და მე არ ვთვლი საჭიროდ, რომ ასეთ გამოსვლებს მინისტრთა კაბინეტი, მთავრობა და პრემიერ-მინისტრი დაესწრონ. ეს ჩემი პოზიციაა, მაგრამ მე გთხოვთ, რომ ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. ასეთ გამოსვლებს და მონაწილეობა-არმონაწილეობას წმინდა სიმბოლური დატვირთვა აქვს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის საპასუხოდ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მოხსენებას სიმბოლური დატვირთვა და შინაარსი ვერ ექნება. მისი თქმით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა პრეზიდენტის მოხსენებას დაესწროს.

საქართველოს პრეზიდენტი წლიური ანგარიშით პარლამენტს თებერვალში უნდა ეწვიოს. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ მთვრობის წევრები პარლამენტში მის გამოსვლას დაესწრებიან და აღარ განმეორდება შარშანდელი შემთხვევა და მთავრობის წევრები სხდომას აუცილებლად დაესწრებიან. რაც შეეხება პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის ფორმატს, გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ მისთვის ნებისმიერი ფორმატი მისაღებია. მისივე თქმით, იგი მზად არის კოლეგა დეპუტატებთან ერთად, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილოს.

პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლაზე დასწრების საკითხი დღეს საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის. თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლასთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტში კოორდინირებული გადწყვეტილება იქნება მიღებული.

თავის მხრივ, პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის თარიღის დაზუსტებას ელოდება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი.

„პრეზიდენტის გამოსვლაზე დასწრებას მთავრობის წევრები აუცილებლობიდან გამომდინარე გადაწყვეტენ. ჯერჯერობით კონკრეტული თარიღი და მოწვევა ამ თვალსაზრისით არ მიგვიღია. როცა იქნება დაზუსტებული თარიღი, პოზიცია შემდეგ იქნება ჩამოყალიბებული“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას მთავრობა აუცილებლად უნდა დაესწროს.

„ის, რომ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც არ დაესწრო მთავრობა გიორგი მარგველაშვილის პარლამენტში გამოსვლას, იყო მთავრობის ერთიანი გადაწყვეტილება და მე იგი გამაცნეს, როგორც უკვე მიღებული გადაწყვეტილება. ვფიქრობ, რომ ეს მიდგომა შესაცვლელია, რადგან დღეს არის სხვა რეალობა. პრეზიდენტის ინსტიტუტი აერთიანებს საზოგადოებას და პოლიტიკურ ძალებს, ამიტომ ეს გადაწყვეტილება შესაცვლელია“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

საპარლამენტო უმრავლესობა ვერ ხედავს პრობლემას თუ პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას მთავრობის წევრები არ დაესწრებიან. უმრავლესობის წევრისთვის ირაკლი სესიაშვილისთვის კი ფორმალური მხარეა დაესწრება თუ არა მთავრობა პრეზიდენტის გამოსვლას. თუმცა, პირობას დებს, რომ დეპუტატები ღირსეულად შეხვდებიან პრეზიდენტის გამოსვლას.

დეპუტატ შალვა შავგულიძისათვის კი გაუგებარია, რა მიზეზით არ უნდა დაესწროს მთავრობა პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლას.

„მართალია, კანონი მთავრობას არ ავალდებულებს პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლას დაესწროს, მაგრამ ეს გამართლებულად და მიზანშეწონილად მიმაჩნია. ეს იქნება სახელმწიფო შტოების მიმართ პატივისცემის გამოხატვა“.

თამთა ქარჩავა

◎ ალიანჩალიანი

ზვიად გამსახურდიას მანქანა გასაყიდად არ გაუტანიათ

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი კონსტანტინე გამსახურდია უარყოფს, რომ ინტერნეტში გასაყიდად გამოტანილი „მერსედესის“ მარკის ავტომობილი პრეზიდენტ გამსახურდიას ეკუთვნოდა.

როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ზვიად გამსახურდია ორი ავტომობილით გადაადგილდებოდა.

„ორივე მერსედესი SL კლასის ტიპისაა, მათ შორის ისეთი, რომლითაც უშუალოდ პრეზიდენტი დადიოდა, ეს იყო მუქი ნაცრისფერი; მეორე მანქანა კი ღია მწვანე ფერის, ისიც SL კლასის. რომლითაც პრეზიდენტი გადადგილდებოდა, იყო მეშვიდე კატეგორიის, ხოლო მეორე იყო მეხუთე კატეგორიის ჯავშანმანქანა. ეს ორივე ავტომანქანა შეძენილი იქნა გერმანიაში მაშინდელი ოფიციალური პირის კახი ასათიანის მიერ, თითოეული 42 ათას გერმანულ მარკად, ეს შეძენა, ჩემი მონაცემებით, უნდა განხორციელებულიყო 1991 წლის თებერვალში. ორივე მანქანა ჩამოიყვანეს თბილისში, როგორც სახელმწიფო საკუთრება, ერთი მათგანი გადაეცა პრეზიდენტის ესკორტს და გადაადგილდებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი; მეორე მანქანა კი ერთხანს სადგომზე იმყოფებოდა, ხოლო შემდგომ იგი სარგებლობაში პრეზიდენტმა გადასცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძე“, — განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

მისივე თქმით, როდესაც მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, პრეზიდენტი მუქი ნაცრისფერი SL კლასის ჯავშანმანქანით ჩავიდა ქალაქ ოჯევანში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ დაახლოებით 10 დღის განმავლობაში, ვიდრე არ გაირკვა მისი გროზნოში გადასვლის საკითხი.

გამსახურდიას განცხადებით, ავტომანქანა დარჩა ოჯევანში, ხოლო საქართველოს სამხედრო საბჭომ, მოგვიანებით, ეს მანქანა დაიბრუნა.

„მეორე მანქანა იმყოფებოდა აჭარაში და ასლან აბაშიძემ ის შემდგომში დააბრუნა თბილისში. ედუარდ შევარდნაძის პერიოდში ორივე „მერსედესი“, როგორც მუქი ნაცრისფერი, ასევე ღია მწვანე ფერის ჯავშანმანქანა, იმყოფებოდა ჯერ საქართველოს მთავარი პროკურატურის სადგომზე, ხოლო, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ საკაშვილი, მანქანები გადაიყვანეს სახელმწიფო ესკორტის სპეციალურ სადგომზე და საგანგებო სამსახურის დოტაციაზე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ორივე მანქანა იყო მუშა მდგომარეობაში. დღესაც ეს ორივე მანქანა იმყოფება სახელმწიფო ესკორტის სპეციალურ სადგომზე“, — განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

მისივე თქმით, ის მანქანა, რომელიც დღეს ინტერნეტში გავრცელდა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მანქანის სახელით იყიდება, არის ლურჯი ფერის“, — აღნიშნა გამსახურდიამ.

ინტერნეტსივრცეში რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომობილი, რომელიც 1985 წელს არის გამოშვებული, 32 000 აშშ დოლარად იყიდება.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა წინააღმდეგაა

ოპოზიციას ეშინია, რომ შეიძლება ქართველი მოხალისეები დაზარალდნენ უკრაინის შეიარაღებული ძალების რიგებში

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც მონაწილეობენ სამხედრო მოქმედებებში შეიარაღებული სამხედრო ფორმირებების შემადგენლობაში ნებისმიერი უცხოური სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ემუქრებათ კანონი. საქართველოს მთავრობის ეს ინიციატივა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში განხილული იქნება პარლამენტში უახლოეს პერიოდში.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, მთავრობამ უკვე გაგზავნა საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში შედის ახალი მუხლი, 312-ე, რომელშიც ჩაწერილია, რომ საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობა საზღვარგარეთ უკანონო სამხედრო ფორმირებებში ანდა მომზადება ამისთვის და მოწოდებაც იქნება დასჯადი თავისუფლების აღკვეთით,“ — განაცხადა 13 იანვარს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

რაც შეეხება საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც იბრძვიან უკრაინაში, აღნიშნა მინისტრმა, ეს მუხლი, პარლამენტის მიერ მისი მიღების შემთხვევაში, შეეხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩართული იქნებიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობაში.

მებრძოლები საქართველოდან

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანახმად, საქართველოს მოქალაქეები იბრძვიან როგორც უკრაინის მხარეზე, ისე სეპარატისტების მხარეზე, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს. ადრე, დეკემბერში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეაქცია ქართველი მოხალისე ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვასთან დაკავშირებით, რომელიც უკრაინის მხარეს იბრძოდა, გახდა ხელისუფლების კრიტიკის მიზეზი როგორც ოპოზიციის ისე საზოგადოებრიობის მხრიდან. კერძოდ, თავდაცვის სამინისტრომ სპეციალურ განცხადებაში სრული პასუხისმგებლობა დააკისრა მიხეილ სააკაშვილის პარტიას „უპასუხისმგებლო მოწოდებისათვის“ საქართველოს მოქალაქეებისადმი — „მიიღონ მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ“. მას შემდეგ, რაც ამ განცხადებამ კრიტიკის მასშტაბური ტალღა გამოიწვია, მათ შორის, მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან, იგი ამოიღეს თავდაცვის უწყების ინტერნეტგვერდიდან. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ განცხადების საბოლოო ტექსტი არ ყოფილა შეთანხმებული თავდაცვის მინისტრთან და მისი გამოქვეყნება მოხდა „ტექნიკური შეცდომის“ შედეგად.

უკრაინის გარდა, საქართველოს მოქალაქეები ასევე იბრძვიან სირიაშიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანახმად, 50-დან 100-მდე ეთნიკური ჩეჩენი საქართველოს პანკისის ხეობიდან მონაწილეობს იქ მთავრობის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში.

შარშან 24 სექტემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტერორისტების სიაში შეიყვანა საქართველოს მოქალაქე თარხან ბათირაშვილი, რომელიც ცნობილია ომარ ალ-შიშანის სახელით და რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების ერთ-ერთი მაღალი რანგის სამხედრო მეთაურია.

ოპოზიციის რეაქცია

ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც საპარლამენტო უმცირესობას შეადგენს, აცხადებს, რომ მხარს დაუჭერს კანონპროექტს, რომელიც შეეხება ქართველი მებრძოლების დევნას უცხოეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, რომ დასჯა შეეხება საერთაშორისოდ აღიარებულ ტერორისტებს.

„ის ფორმულირება, რომელიც ადრე გამოქვეყნდა, იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომ ამ კატეგორიაში შეიძლება მოხვდნენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც დღეს იბრძვიან უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს და უკრაინის თავისუფლებისათვის. ამ შემთხვევაში, ეს წარმოადგენს სერიოზულ **პრობლემას და ჩვენი მხრიდან ადგილი ექნება სერიოზულ კრიტიკას“,** — განუცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს 14 იანვარს პარლამენტარმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ზურაბ ჯაფარიძემ.

ადრე საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკრიტიკა ხელისუფლება იმისათვის, რომ ისინი არ ღებულობენ ზომებს საქართველოს მოქალაქეთა სირიაში ომში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

„საქართველოს მთავრობა, რომელიც სახეს მანჭავს იმის გამო, რომ ქართველები ნებაყოფლობით იბრძვიან უკრაინაში, უწოდებს მას ამავე დროს პროვოკატორებსაც, დაქირავებულებსაც და ნაციონალური მოძრაობის აგენტებსაც. სიტყვას არ ძრავენ იმასთან დაკავშირებით, რომ მრავალი ეშმაკობის დახმარებით ქართველებს ექაჩებიან სირიაში ბრძოლისათვის. ბუნებრივია, ეს არ შედის საქართველოს ინტერესებში“, — განაცხადა 12 იანვარს სააკაშვილმა ქართულ ტელეარხ „რუსთავი-2“-ის ეთერში.

ოპოზიციაში გადასულმა საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ თავის კომენტარში მთავრობის ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პარლამენტმა უნდა განიხილოს წარმოდგენილი კანონპროექტი „დიდი სიფრთხილით“.

„ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ზომები უნდა გავრცელდეს მათზე, ვისზეც არის ეჭვი, რომ თანამშრომლობს ტერორისტულ ორგანიზაციებთან, მაგრამ, ბუნებრივია, აუცილებელია მეტად ფრთხილად და აკურატულად განვსაზღვროთ პარლამენტში დანაშაულის კატეგორია, რასაც ეს კანონი შეეხება“, — განაცხადა ალასანიამ 14 იანვარს.

„მეგობარი, თანამოაზრე და მრჩეველი“

ამ დროს სააკაშვილის მთავრობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მიიღო თანამდებობა უკრაინის მთავრობაში. გია გეწაძე, რომელსაც სხვადასხვა თანამდებობები ეკავა საქართველოს წინა მთავრობაში, მათ შორის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტიც, 14 იანვარს წარადგინეს უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.

ადრე ორმა ქართველმა ექს-ჩინოვნიკმა უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს კაბინეტში მიიღეს თანამდებობები, კერძოდ, ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელიც 2008-დან 2010 წლამდე იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, დაინიშნა უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე ეკატერინე ზღულაძე — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

მიხეილ სააკაშვილის სიტყვებით, უკრაინის ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა უნდა დაეკავებინა ბიზნესმენ კახა ბენდუქიძეს — ქართული რეფორმების არქიტექტორს, მისი მთავრობის წევრს, რომელიც შარშან ნოემბერში გარდაიცვალა. თავად სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მას სთავაზობდნენ უკრაინის ვიცე-პრემიერის თანამდებობას, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ის საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავდა.

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არაერთგზის გამოხატავდა უკმაყოფილებას ქართველი ექს-ჩინოვნიკების უკრაინის მთავრობაში დანიშვნასთან დაკავშირებით. საქართველოში ზოგიერთი ყოფილი თანამდებობის პირის მიმართ, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამართალდამცველებს ჯერჯერობით არ გასჩენიათ შეკითხვები იმ სამ ექს-ჩინოვნიკთან დაკავშირებით, რომლებმაც მიიღეს პოსტები უკრაინის მთავრობაში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

სეპარატისტებმა განაცხადეს, რომ კონტროლზე აიყვანეს დონეცკის აეროპორტი. უკრაინელი სამხედროები ამას უარყოფენ

პრესის მონაცემებით, დონეცკის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში იტყობინებიან, რომ „ახალი აეროპორტის ტერმინალის ნანგრევებში“ ჯერ კიდევ დაახლოებით 10 უკრაინელი სამხედროა, მაგრამ მათ შეწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა და შეწყვიტეს ცეცხლიც. თავის მხრივ, პრესცენტრი ამტკიცებს, რომ ობიექტი ძველებურად უკრაინის არმიის ხელთაა.

წყალდიდობა ბოლივიაში, მოზამბიკსა და მალავიში - რამდენიმე ათეული დაღუპულია

მოზამბიკში სტიქიის მსხვერპლი გახდა სულ ცოტა 35 კაცი, მეზობელ რესპუბლიკა მალავიში დაღუპულთა ოდენობამ 48 კაცს მიაღწია. ბოლივიაში დაზარალებულ რაიონებში გაგზავნეს 13,5 ტონა ჰუმანიტარული დახმარება.

მიუხედავად საპროტესტო აქციებისა, განხეთქილება რუსეთის ფედერაციასა და სომხეთს შორის გიუმრიში მასობრივი მკვლელობის გამო არ მოხდება

სომხეთი დაინტერესებულია საბაჟო კავშირთან და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან თანამშრომლობით, და მის ინტერესებში არ შედის — გაიფუჭოს ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. ქვეყნის ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მასობრივი საპროტესტო აქციები მიმართული არაა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ გამოწვეულია სურვილით, მიაღწიონ სამართლიან გამოძიებას.

მერკელმა გამორიცხა პუტინის მინვევა დიდი შვიდეულის სამიტზე

გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ ყირიმის „ანექსია“ გახდა „საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღმაშფოთებელი დარღვევა“, მოვლენები უკრაინის აღმოსავლეთში საერთო ღირებულებათა დარღვევაა. „სწორედ ამიტომ ამ მომენტისათვის არ არსებობს არანაირი შანსი იმისათვის, რომ პუტინი იქნეს მოწვეული დიდი შვიდეულის სამიტზე, რომელიც ივნისში ბავარიაში გაიმართება“, — განაცხადა მერკელმა

◎ ყოფა

რიგითი ქართველის „ჯიბის ეკოლუცია“,

ანუ როგორ იზრდებოდა მოქალაქეების შემოსავალი 1970 წლიდან დღემდე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საშუალო სტატისტიკური ქართველის ხელფასი 1995 წელს, როდესაც ლარი გახდა ქვეყნის ეროვნული ვალუტა, 13.5 ლარი იყო, დღეს კი 773 ლარია. თუმცა, დამოუკიდებლობის პირველ წლებში პროდუქტი ბევრად უფრო იაფი იყო, შემდეგ კი ინფლაცია მოხდა.

რამდენად აისახა ინფლაცია დღევანდელ ხელფასზე, თვისობრივად მართლა გაიზარდა საქართველოში ადამიანების შემოსავალი 37-ჯერ თუ არა? — ამასთან დაკავშირებით Ambebi.ge ნუმიზმატს და ისტორიის დოქტორს ნიკო ჯავახიშვილს ესაუბრა.

— თავდაპირველად, ვისაუბროთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, 1918-21 წლებზე. უჭირდა ხალხს, ნამდვილად, მაგრამ მეზობელი ქვეყნებისგან — რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისგან განსხვავებით საქართველოს მდგომარეობა ბევრად უფრო სტაბილური და უკეთესი იყო. როცა საქართველო გასაბჭოვდა, ქართული მანეთი ბევრად ჯობდა ამავე მეზობლების ვალუტების კურსს. ჩვენ სატრანზიტო ქვეყანა ვიყავით, შუა აზიის რესპუბლიკები, ფოთისა და ბათუმის საშუალებით იძენდნენ ევროპულ საქონელს. ქართული მანეთი გასაბჭოების დროს 25-ჯერ ჯობდა რუსულ ფულს.

— საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საშუალო სტატისტიკური ადამიანის ხელფასი 1970 წლიდან 1991 წლამდე იზრდება. უკეთესობისკენ მიდიოდა ცხოვრება?

— ხელფასი იზრდებოდა, იმიტომ, რომ ინფლაცია იყო. ფულის კურსის დაცემა 80-იანი წლებიდან ხდებოდა ძალიან აშკარა, იმიტომ, რომ შავ ბაზარზე დოლარი ძვირდებოდა. ოფიციალური კურსით, ერთი დოლარი 60 კაპიკი იყო, მაგრამ არაოფიციალური კურსი რამდენჯერმე აღემატებოდა მას. მოსკოვის ზოგიერთ მაღაზიაში, დოლარით შესაძლებელი იყო უცხოური საქონლის შეძენა ხელსაყრელ ფასად. საბჭოთა ფულზე ამას ვერ შეიძენდი, ამიტომ, ხალხი დაინტერესებული იყო სპეკულიანტებთან შეეძინა დოლარი. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ კრიზისი იყო სახელმწიფოში. ხელფასი რომ მატულობდა, ფასებიც მატულობდა. იგივე დარჩა რეალურად, რაც მანამდე იყო. საერთოდ, კრიზისული ქვეყანა იყო, ნავთობი იაფი ღირდა, კომუნალური გადასახადები მინიმალური იყო, მაგრამ ნორმალური ტანსაცმლის საყიდლად, სამმაგი და ოთხმაგი თანხის გადახდა მოგიწევდა. საჭმელი და ასეთი ტიპის პროდუქცია იაფი იყო, ხალხი მშიერი არ იყო. 60-70-იანი წლებიდან გამოჩნდა, რომ სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებდა თავისი მოსახლეობის მოთხოვნებს.

— 1991-ში 270, ხოლო 1992-ში 1 528 მანეთი იყო საშუალო შემოსავალი.

— ფულის კურსის ვარდნამ ძალიან დიდი ტემპი მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში. 1991 წლიდან ეს იყო უკვე „ჭენებითი ინფლაცია“, ჰიპერინფლაცია. შემდეგ მოვიდა კუპონი, რომელიც იყო გარდამავალი ფული, პირდაპირ ლარის შემოღება არ მოინდომეს და ვითომ გარდამავალი ფული შემოიღეს, და როცა მთლიანად განიცადა ამან დარტყმა, მთელი დარტყმა კუპონმა მიიღო თავის თავზე და შემდეგ შემოვიდა ლარი. ლარმა თავისი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა, აწევაც ვნახეთ და დაწევაც. საერთო ჯამში, ლარი უფრო სტაბილურ ვალუტად ჩამოყალიბდა, ვიდრე შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიკის მქონე ქვეყანას ჰქონოდა.

— ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ლარი შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ, 1998 წლამდე და მას შემდეგ.

— 1998 წლამდე ლარი ბევრად უფრო სტაბილური იყო, 1.3 იყო დოლართან მიმართებაში და შემდეგ დაიწყო რყევა. საბოლოო ჯამში, დოლართან 1-სა და 2-ს შორის მერყეობს და დღესაც ეს ტენდენცია გრძელდება.

— მაგალითად რომ ავიღოთ, „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, 2002 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 113 ლარი, დღეს 773 ლარია...

— რა თქმა უნდა, პროდუქტების ფასები მომატებულია. მართალია, დოლართან მიმართებაში დიდი ცვლილებები არ არის, მაგრამ კურსი კატასტროფულად ეცემა სოფლის მეურნეობის პროდუქტთან მიმართებაში. მახსოვს 15-20 წლის წინათ, 25 ლარად შესაძლებელი იყო გეყიდა გოჭი, დღეს კი ეს შეუძლებელია, 100 ლარი მაინც უნდა. თუ გოჭზე გავიანგარიშებთ, დღეს ეს ყველაზე აქტუალური თემაა, ფასებმა 3-ჯერ და 4-ჯერ მოიმატა. ასეა თითქმის ყველა პროდუქტზე. 300 ლარი ჯდება დღეს ერთი და იგივე პროდუქტი, რის ყიდვასაც მაშინ 100 ლარად მოახერხებდი. ხელფასებიც გაიზარდა. მაშინ, მართალია, იაფი ღირდა, მაგრამ ხალხს შემოსავალი არ ჰქონდა, 25 ლარი იყო პენსია. მსოფლიოშიც ტენდენცია უკეთესობისკენ მიდის. ხალხს ხელფასი გაუჩნდა, ოჯახის წევრებმა დაიწყეს მუშაობა. ვინც მუშაობს, არაფერი არ უშავთ, მოთხოვნები გაიზარდა, უბრალოდ. მაშინ, დღის წესრიგში, ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო, გადარჩენილიყო ხალხი, და დღეს ხომ განვითარებაზე ვფიქრობთ. ეს ჯობია იმას, რა თქმა უნდა.

> **დრომ დაამტკიცა, რომ ყველაზე მოგებული დარჩა ის, ვინც უძრავ ქონებაში დაბანდა ფული. ოქროც არ აღმოჩნდა ისეთი მყარი, იმიტომ, რომ ოქროს ფასებმაც დაცემა დაიწყო ბოლო წლებში.**

— სამომავლოდ რა იქნება ლარის კურსთან დაკავშირებით? ინფლაცია გაიზრდება და პროდუქტებზე ფასები მოიმატებს, თუ პირიქით?

— მსოფლიოში კრიზისული სიტუაციაა. წამყვან ვალუტებს, ევროს და დოლარსაც არა აქვს კარგად საქმე. დრომ დაამტკიცა, რომ ყველაზე მოგებული დარჩა ის, ვინც უძრავ ქონებაში დაბანდა ფული. ოქროც არ აღმოჩნდა ისეთი მყარი, იმიტომ, რომ ოქროს ფასებმაც დაცემა დაიწყო ბოლო წლებში. ალბათ, უკეთესობისკენ იქნება ყველაფერი პერსპექტივაში, მსოფლიო ხომ ვითარდება, უბრალოდ, ხალხს დავიწყდა, რომ 20 წლის წინათ არ იყო დენი, გაზი და ელემენტარული მოთხოვნები. სწორი ეკონომიკური მართვის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტი არ შეიძლება ძვირი ღირდეს და თან უცხოეთიდან შემოგქონდეს, როცა საქართველოს უკეთესი პერსპექტივები ჰქონდა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ამ წლებში და ეს წლები კორუფციასთან ბრძოლაში დაიკარგა. შეიძლებოდა, რომ საქართველოს თავისი მოსახლეობა მაინც დაეკმაყოფილებინა თავისი პროდუქტით, ამაში ძალიან მოვიგებდით.

Ambebi.ge გთავაზობთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, რომელშიც იხილავთ, თუ როგორ იცვლებოდა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 1970-2013 წლებში.

1970 — 106,1 მანეთი, 1975 — 118,9 მანეთი, 1980 — 145,2 მანეთი, 1985 — 167,6 მანეთი, 1986 — 170,6 მანეთი, 1987 - 177,2 მანეთი, 1988 —- 186,9 მანეთი, 1989 — 197,7 მანეთი, 1990 — 214,0 მანეთი, 1991 — 270,3 მანეთი, 1992 — 1528 მანეთი, 1993 — 27950 კუპონი, 1994 — 6151,6 ათ., კუპონი, 1995 — 13,5 ლარი, 1996 — 29,0 ლარი, 1997 — 42,5 ლარი, 1998 — 55,4 ლარი, 1999 — 67,5 ლარი, 2000 — 72,3 ლარი, 2001 — 94,6 ლარი, 2002 — 113,5 ლარი, 2003 — 125,9 ლარი, 2004 — 156,6 ლარი, 2005 — 204,2 ლარი, 2006 — 277,9 ლარი, 2007 — 368,1 ლარი, 2008 — 534,9 ლარი, 2009 — 556,8 ლარი, 2010 — 597.6 ლარი, 2011 — 636,0 ლარი, 2012 — 712,5 ლარი, 2013 — 773,1 ლარი.

გიორგი ხარშილაძე

◎ ალიანჩალიანი

აქცია ბათუმში

ბათუმში, თამარის დასახლებაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა გუშინ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ისინი მძიმე საცხოვრებელ პირობებს აპროტესტებენ და ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

„ამ ორ ახალ კორპუსში 50 ოჯახია შესახლებული. აქ რომ მოგვიყვანეს, არც შუქი გვქონდა, არც — გაზი. ლიფტი დღესაც არ მუშაობს. კედლებზე სოკოებია. სარდაფის წყალს საშინელი სუნი აქვს და მუდმივად ნესტი დგას. კედლები მშრალ ამინდშიც სველია. მთავრობა 1000-ლარიან დახმარებას დაგვპირდა, მაგრამ ჯერაც არ მიგვიღია“, — აცხადებს აქციის მონაწილე მალხაზ დუმბაძე.

მოსახლეობა ამ შენობებში რამდენიმე თვის წინ შეასახლეს.

ინტერპრესი

◎ SIC!

ინტერნეტი ფუფუნების საგანი აღარ არის!

დღეს ინტერნეტი ფუფუნება აღარ არის ისევე, როგორც წყალი, დენი და გაზი. ის ნებისმიერი ინფორმაციის წვდომას აადვილებს. ამის გამო მის გარეშე თანამედროვე ცხოვრება სულ უფრო და უფრო წარმოუდგენელი ხდება. წინა ხელისუფლება, მართალია გვიპრდებოდა, რომ აღარ იარსებებდნენ გამორჩეული რეგიონები მთელ ქვეყანაში მაგრამ სხვა დაპირების დარად ესეც დაქადნებად დარჩა, ხოლო უგულავას მადას აყოლილმა ნაცებმა დაივიწყეს დედაქალაქს შემოერთებული ტერიტორიები — ნასაგური, წინაუბანი, ლოტკინის დასახლება, დიდი და პატარა ლილო... ზოგიერთ შემოერთებულ ტერიტორიაზე გზებიც გაიყვანა, განათებაც გააკეთა, მაგრამ ინტერნეტის სადენების ჩაყრა უნებლიედ ან შეგნებულად უგელებელყო.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე საკითხს უფრო აკონკრეტებს და ამბობს, რომ მათი ინიციატივით საკრებულოსა და მერიის რიგი სამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრები შედგა ინტერნეტ-პროვაიდერებთან. გარკვა, რომ ნაცებისთვის მეორეხარისხოვან უბნებში გზები ჯერ არ არის დაგებული. ამის გამო უფრო მარტივია იქ გათხრების ჩატარება, სადენების ჩაყრა და შემდეგ ნორმალური გზების დაგება. „თბილისელების“ თავმჯდომარე იმაზეც საუბრობს, რომ კაბელებისათვის დამატებითი სამუშაოებიც გახდება საჭირო იქ, სადაც გზები უკვე დაგებულია. მერია მზად არის, თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს პროვაიდერ კომპანიებს, რომლებიც მოკლე ვადებში მიიყვანენ ინტერნეტ მომსახურებას მასზე დამოკიდებულ მოსახლეობასთან.

ფრაქციის თავმჯდომარე მომსახურების ხარისხსაც ეხება, აქაც გაიმარჯვებენ საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ფირმები. იგი საუბრობს საფასურზეც. ღირებულებას, ინტერნეტ-პროვაიდერები სხვადასხვა სიხშირის მიხედვით აწესებენ. ამის გამო საკითხის მოგვარებაში აუცილებელია მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ჩართვა, რომელსაც ამ მიმართულებით, მომხმარებლის უფლებების დაცვის თაობაზე კონკრეტული დოკუმენტი აქვს მიღებული. ჩვენ, ამ თვალსაზრისით მივადევნებთ თვალს, თუ როგორ ასრულებენ კერძო კომპანიები თავის სამუშაოებს კანონთან მიმართებაში.

ზუმბაძე ფასებზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ღირებულება იგივე იქნება, რაც სხვა უბნებშია, თუმცა, პროვაიდერებთან შეხვედრისას გამოითქვა მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ სხვა ქვეყნებში, სადაც ხორციელდება, ინვესტიციები და სხვა პროექტები, მეტწილად გათვალისწინებულია სოციალური სეგმენტი. ფრაქციის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ კომპანიები ამაზე იფიქრებენ და სოციალურად დაუცველთათვის და სხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის გარკვეულ შეღავათებს დააწესებენ.

ზაზა ბილიხოძე

განცხადება

2015 წლის 10 მარტს, 14 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 127), გაიმართება შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მეტალურგიული საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. აღთაკლიას მიმდებარე ტერიტორიაზე მეტალურგიულ საწარმოს და მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 127;**
- **შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ ოფისში - ქ. რუსთავი, მერაბ კოსტავას №23;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17°. ტელ: 2 60 15 27.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ ადმინისტრაცია

◎ ჩოგბურთი

გორგოძე მეოთხედფინალშია

ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ, რომელიც თურქეთის ქალაქ ანტალიაში მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე მე-2 ნომრადაა განთესილი, მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

გორგოძემ კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული — ავსტრიელი მარლის შუპერი 6:1, 6:7 (4:7), 6:2 დაამარცხა და შემდეგ რაუნდში მე-8 ნომრად მიჩნეულ ფრანგ ოდრი ალბის ეთამაშება.

მერვედფინალში დაასრულა ასპარეზობა მე-4 ნომრად განთესილმა სოფო ქვაცაბაიამ, რომელმაც გერმანელ შარლოტ კლასენთან 6:3, 2:6, 4:6 წააგო.

შეგახსენებთ, რომ წყვილთა ტურნირში გორგოძეს და ქვაცაბაიას პირველი განთესვა აქვთ და ბრძოლაში პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

კოგა კოგახიძე

◎ ფუტსალი

ერთი საგზურის სამი მაძიებელი

კაუნასში დღეს დამთავრდება ფუტსალში 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობს. მეორე ტურის ცენტრალურ მატჩში საქართველოს ნაკრები შვეიცარიას შეხვდა. წარმატების შემთხვევაში ალიკ სარქისიანის შეგირდები ელიტრაუნდში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებდნენ. ამიტომაც ჩვენმა ფეხბურთელებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს შვეიცარიელთა კარს. მე-6 წუთზე არჩილ სებისკვერაძემ ანგარიში გახსნა. მალევე მეორე ბურთის გატანა შეეძლო მაისაიას, მერე საგოლე მომენტი ვერც მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა რონიმ გამოიყენა. მე-12 წუთზე შვეიცარიელთა მეკარე ფელბერმა ზედიზედ ორჯერ იხსნა თანაგუნდელები ძაბირაძისა და ალთუნაშვილის დარტყმების შემდეგ. რამდენიმე წუთის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ჯგვარაშვილმა ბურთი ძელს მოარტყა. მეტოქესაც ჰქონდა გოლის გატანის ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ ან ჩვენი მეკარე ბუკია იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ან შვეიცარიელი ფეხბურთელები სცოდავდნენ. ასე გაგრძელდა 35-ე წუთამდე, სანამ შვეიცარიელები მეკარის

ნაცვლად მე-5 მოთამაშეს შემოიყვანდნენ მოედანზე. პაექრობის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მეზგერმა წონასწორობა აღადგინა. მატჩიც ასე დამთავრდა — 1:1. საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბუკია, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, რონი, ტიკურიშვილი — კეფაშვილი (მ), ჭანუყვაძე, ლუკავა, კობაიძე, თოდუა, სებისუკვერაძე, მაისაია, ბობოხიძე, ჯგვარაშვილი.

ჯგუფის მეორე მატჩში ლიტვამ 5:2 მოუგო ესტონეთს. ორი ტურის შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს (ერთი გუნდი გადის) სამი გუნდი ინარჩუნებს. დღეს საქართველოს ნაკრები მასპინძლებს დაუპირისპირდება, შვეიცარია კი ესტონეთთან გაარკვევს ურთიერთობას.

ლაშა დიდია

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
საქართველო	2	1	1	0	7-4	4
შვეიცარია	2	1	1	0	6-4	4
ლიტვა	2	1	0	1	8-7	3
ესტონეთი	2	0	0	2	5-11	0

◎ დაჯილდოება

„ჯაკოს“ რჩეული არაოლიმპიელები

შარშან მკლავჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა მძიმეწონოსანმა ლევან საღინაშვილმა როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მკლავით ოქროს მედლები მოიპოვა. სწორედ მან მიიღო ყველაზე მეტი ხმა რადიო „ჯაკოს“ მიერ ჩატარებულ ტრადიციულ გამოკითხვაში არაოლიმპიური სახეობების სპორტსმენებს შორის. საუკეთესო ათეულის დაჯილდოება სასტუმრო „ფიშერში“ გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს მთავრობის, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

1.ლევან საღინაშვილი (მკლავჭიდი),
2.ვახტანგ ჩიდრაშვილი (სამბო),
3.გოგიტა არქანია (კარატე),
4.ბექა ღვინიაშვილი (ქართული ჭიდაობა),
5.ნანა ძაგნიძე (ჭადრაკი),
6.სალომე მელია (ჭადრაკი),
7.იმედა ჭინჭარაული (მკლავჭიდი),
8.გენადი ჩირგაძე (სამბო),
9.გიორგი მეშვილდიშვილი (სუმო),
10.ირაკლი გაგუა (ბოდიბილდინგი).

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

ფოთის სტადიონზე „ყინული დაიძრა“

საფეხბურთო კლუბ ფოთის „კოლხეთი 1913“-ის საშინაო არენა „ფაზისზე“ მშენებლობა განახლდა.

თავის დროზე ფოთის სტადიონზე რეკონსტრუქცია დაიწყეს, მაგრამ ერთი წლის წინათ სამუშაოები შეჩერდა. აქედან გამომდინარე, „კოლხეთი“ საშინაო მატჩებს ლანჩხუთში ატარებდა.

„ფაზისზე“ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რთული სავარაუდოა, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის განახლებისთვის რემონტი დასრულდება და სტადიონიც ლიცენზირებას გაივლის, თუმცა, თავად ფაქტი, რომ „ყინული დაიძრა“, უკვე მისასალმებელია და, იმედია, „კოლხეთი“ მეტოქეებს შინ მომდევნო სეზონში მაინც მიიღებს.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ტრანზიტი: ლონდონი — სტამბოლი

უკვე გაუწყეთ, რომ ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ნბა-ს რეგულარული სეზონის რამდენიმე შეხვედრას ევროპა მასპინძლობს და ამჯერად ეს პატივი ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსსა“ და გათამაშების აუტსაიდერ „ნიუ იორკ ნიქსს“ ხვდათ, რომელსაც მხოლოდ 5 გამარჯვება აქვს.

ლონდონში გამართული ეს სალაღობო მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტმა იოლად მოიგო — 95:79, „ჯვაროსანთა“ კაპიტანი კი გუშინაც ორმაგი დუბლით გამოირჩა პარტნიორთა შორის — 11 ქულა და 14 მოხსნა. დამარცხებულთაგან ჩვეული შედეგიანობით ითამაშა ტრავმამოშუშებულმა კარმელო ენტონიმ — 25 ქულა, თუმცა, საკუთარი გუნდი ზედიზედ მე-16 წაგებისგან მაინც ვერ იხსნა.



* * *

მოსკოვის ცსკამ პირეოსის „ოლიმპიაკოსის შარშანდელი რეკორდი გაიმეორა და ევროლიგაში ზედიზად მე-13 გამარჯვება მოიპოვა.

არმიელებმა ფრანგი გამთამაშებლის — ნანდო დე კოლოს ძალისხმევით (22 ქულა) სტამბოლში „ეფეს პილსენი“ დააჩოქეს — 78:69, თანაც ამ გამარჯვებას თავიანთი სერბი ლიდერის მილოშ თეოდოშიჩის კატასტროფული თამაშის მიუხედავად მიაღწიეს, რომელმაც 10 ცდიდან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდო.

რაც შეეხება რუსული გრანდის ქართველ ლეგიონერს მანუჩარ მარკოიშვილს, იგი სარბიელზე პირველი ტაიმის მიწურულს ორიოდე წუთით გამოჩნდა და ამდენივე პერსონალური შენიშვნის მიღება მოასწრო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ავსტრიელი მოდელის სპორტული გატაცებანი

ავსტრიელი ტოპ-მოდელი კატრინ ვერდერიში ბავშვობიდან სამთო-სათხილამურო სპორტითაა გატაცებული და როგორც ჭეშმარიტ ავსტრიელს შეეფერება, თავისი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ავსტრიის სამთო კურორტებზე თხილამურებსა და ციგურებზე დგომაში ატარებს.

კატრინი პროფესიული სპორტით სერიოზულად დაკავებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ სპორტის ზამთრის სახეობებში ავსტრიის სხვადასხვა ნაკრებების დიდი ქომაგია, თანამემამულე სპორტსმენებს მნიშვნელოვან ტურნირებზეც არაერთხელ გაჰყოლია და მხურვალედაც უგულშემატკივრია.

კატრინ ვერდერიში თანამედროვე სამოდელო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული მოდელია. იგი ცნობილი სამოდელო სახლების გარდა, ასევე არაერთ ცნობილ კომპანიასთან თანამშრომლობს და მათი სარეკლამო სახეც გახლავთ. კატრინი რეკლამას უკეთებს: მედიკამენტებს, საკვებს, ტანსაცმელსა და სხვ...

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

ჯუმბერ ლომინაძის მოსაგონარი



ერთი წელი გასრულდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერ-ფიზიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, სათუთი ბუნებისა და მრავალი ინტერესების მქონე ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის **ჯუმბერ ლომინაძის** გარდაცვალებიდან. ამ პიროვნებამ, რომელიც ადამიანის ღირსებებით აღტაცების ნიჭით იყო დაჯილდოებული, მრავალ სიკეთეს დაუდო სათავე, ბევრ ახალგაზრდას გაუკვალა სამეცნიერო მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა. შედეგად, ჯუმბერ ლომინაძის ძალისხმევით შექმნილი საბუნებისმეტყველო სამეცნიერო სკოლა ქართული მეცნიერების ერთ-ერთ ქვაკუთხედად ჩამოყალიბდა. ამ სკოლის წარმომადგენლები აგრძელებენ სისხლსავსე სამეცნიერო საქმიანობას პლაზმური ასტროფიზიკის განხრით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმ იმედით, რომ ქარტეხილების შემდეგ დადგება დრო, როდესაც საქართველოსაც გამოადგება მათი ცოდნა, გამოცდილება და მოღვაწეობის ფართო არეალი. ღმერთმა ინებოს დადგეს დრო ამის აღსასრულებლად, რათა ჯუმბერ ლომინაძის ღვაწლის ეს გამოძახილი და საქართველოდან გადახვეწილი სამეცნიერო პოტენციალი მძლავრ ინტელექტუალურ ძალად მოევლინოს ჩვენს მომავალს. სწორედ ეს იქნება ბატონი ჯუმბერის სულის ზეიმი და უკვდავება.

ჯუმბერ ლომინაძის კეთილმყოფელური გავლენა არ მოკლებია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასაც. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, რომლის გამთლიანებას და ერთობლივი მოქმედების უნარის გაძლიერებას ჯუმბერ ლომინაძემ მრავალი წელი მიუძღვნა, აკადემიის მეცნიერული სულისკვეთების ფლაგმანად ჩამოყალიბდა. საოცარია ის სევდანარევი სითბო, რომელიც ბატონი ჯუმბერის ხსენებისას ისადგურებს განყოფილების სხდომების დროს. თითქოს ის იქ არის და შეკრებილთ, მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარე, ერთობლივი მოქმედებისათვის განაწყობს...

ჯუმბერ ლომინაძის ადამიანური თვისებებისა და მისი სულიერი ფასეულობების შერწყმამ, ასევე, განაპირობა მისი მნიშვნელოვანი გავლენა ზოგადად ჩვენს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მოღვაწეობის ეს წარუშლელი კვალი სათუთ ბუნებასთან ერთად ჯუმბერ ლომინაძეს ჩვენი ცხოვრების უხილავ თანამგზავრად ხდის. ღმერთმა აღასრულოს ბატონი ჯუმბერის ლტოლვა და ძალისხმევა ჩვენი ხალხის განსწავლისათვის, მათი შემოქმედებითი და აღმშენებლობითი საქმიანობისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება.

სანთელი

ცხოვრებასთან ლამაზად გამომშვიდობება

დარეჯან ცომაია-თელიას უკანასკნელი მოფერება

შენი წასვლა მარადიულ სასუფეველში ისეთივე ამაღლებული იყო, როგორც იცხოვრე და როგორადაც დაგვამახსოვრე თავი, აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაბადებულო და გაზრდილო ჩვენო ლამაზო, ღირსეულო დარეჯან. შენი ცხოვრება ხომ სიყვარულის, ერთგულების, მუსიკის, პოეზიისა და შვილებზე გადაგებული დედის ულამაზესი ეპოპეაა.

არც ულმობელ სენს ეპუებოდი, თუმცა, გრძნობდი, რომ სიკეთე-ერთგულების თესვას შელეული ლამაზი სიცოცხლე ნაადრევად უნდა მიგეტანა სამსხვერპლოზე. კოლხი ქალი შეუპოვრობით ებრძოდი სიკვდილს. დამარცხდი, მაგრამ გამარჯვებული მაინც შენ გამოხვედი, რადგან ულამაზესი შვილებისა და შვილიშვილების, შენ გარშემო მყოფი მადლიერი ადამიანების გარემოცვაში, სახეზე შერჩენილი ღიმილითა და განუმეორებელი დამშვიდობებით გადაინაცვლე მარადიულ, ზეციურ საქართველოში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო სულითა და ხორცით ლამაზო დარეჯან.

გულისტკივილით

მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა, მამუკა კვიტაშვილი, პაატა ძურდოვანიძე, შალვა მგალობლიშვილი, გიორგი და მევლუდ დუნდუები, ვალერი ურუმაშვილი, თედო ჭანტურია, ბენო პიტავა, გია ჯღარკავა, პაატა ნიკურაძე.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის პედაგოგი, ღვაწლმოსილი პიროვნება

თეიმურაზ ბოჭორიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

ალექსანდრე შენგელია, ანზორ ბაბუხადია, ანზორ საკანდელიძე, ბენია თხილავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტად ღირსეული ქუთაისელი, კარგი ოჯახის მამა და ცნობილი მეურნე

ავთანდილ გივის ძე შაშიაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, ილია ინჯია, კოტე სამუშია, თეიმურაზ ღოღობერიძე, ტარიელ იაშვილი, ნუგზარ კვიკვინია, ნუგზარ ბენდიაშვილი, ლევან კიკნაძე, თემურ სურმავა, ავთანდილ დარახველიძე, თემურ ცხვარიაშვილი თანაუგრძნობენ ბატონ ზურაბ ზუმბაძეს დედის

ევგენია ზუმბაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ფოპტნეტისა“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ ზურაბ ზუმბაძის დედის

ევგენია ზუმბაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კომპანიების მთავარ ბუღალტერს ზურაბ ზუმბაძეს გარდაეცვალა დედა

ევგენია ზუმბაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

ბათუმსა და ქობულეთში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

დაკავებულია 1990 წელს დაბადებული გოჩა კ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ხოლო 1988 წელს დაბადებული მურმან ვ. და 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ირაკლი ქ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ირაკლი ქ. და მურმან ვ. იმ დროს დააკავეს, როცა ისინი ბათუმი-ქობულეთის ავტომაგისტრალზე გადაადგილდებოდნენ, ავტომანქანის ჩხრეკისას „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი 7 საბრძოლო ვაზნით, კუსტარულად დამზადებული პისტოლეტი 1 მჭიდით და 1 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს, ხოლო გოჩა კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ქარხნული წარმოების რევოლვერი და 5 საბრძოლო ვაზნა.

◎ დედაქალაქი

დახმარების ხელი გამოიწოდე...

კარგა ხანია, თბილისის ხალმხრავალ ადგილებში, უმეტესწილად, მოედნებზე მეტროს სადგურების მიმდებარედ, ადგილობრივი თუ უცხოელი მუსიკოსები სხვადასხვა მიზნით სახელდახელო კონცერტებს მართავენ.

ზაფხულში თავიანთი მუსიკალური ჩანაწერებისა და ჩამოტანილი სუვენირების გასაყიდად ქუჩის კონცერტებს პერუელი ინდიელები მართავდნენ, ხშირად ჩვენებური მუსიკოსებიც აწყობდნენ გამოსვლებს, რათა მაყურებელთა შემოწირულობებით თავიანთ ახლობლებს დახმარებოდნენ.

ასეა ახლაც – რამდენიმე დღეა მარჯანიშვილის, რუსთაველისა და თავისუფლების მოედანზე მეტროს წინ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ერთი ჯგუფი გამვლელთა ყურადღების მიპყრობასა და თანადგომას თავიანთი პატარა ახლობლის იოსების მიმართ ცდილობს, რომელიც

ცერებრალური დამბლითაა დაავადებული და საავადმყოფოში მკურნალობას საჭიროებს, სადაც ერთი დღის გადასახადი 600 ლარია! პატარა იოსების სამკურნალოდ შეკრებილი ახალგაზრდები თბილისის სხვადასხვა უბანში ცხოვრობენ, ერთად ახლობელი ოჯახის გასაჭირმა შეკრიბა და ქუჩაში გამოიყვანა. თბილისელებიც მხარს უბამენ შეძლებისდაგვარად ახალგაზრდებს – ვინ ფულით, ვინ თავისი მოხდენილი ცეკვით, როგორც ეს პატარა ბიჭუნა, რომელსაც ფოტოზე ხედავთ.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ᲡᲐᲣᲤᲚᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲦᲔᲑᲐ - ᲬᲧᲐᲚᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ

ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს — ნათლისღებას დღესასწაულობს, 20 იანვარს კი ზეიმობს კრებას წმიდისა დიდებულისა ნათლისმცემლისა იოანესი.

...ცნობილია, რომ ჩვეულების თანახმად, მოძღვრის წოდებას 30 წლის ასაკზე ადრე ვერავინ მიიღებდა. ასე მოიქცა ღმერთკაცი. მას სახარების ქადაგება გარკვეულ ასაკამდე არ დაუწყია. ის ნაზარეთიდან წავიდა იორდანეს ნაპირებისკენ, სადაც იოანე წინამორბედი თავის მსახურებას აღასრულებდა და ყველას წყლით ნათლობისკენ — სინანულისა და განწმენდისკენ მოუწოდებდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა თავისი ცხოვრებით გადაწყვიტა ჩვენთვის სამაგალითო ყოფილიყო და ამით ისევ ჩვენთვის მოენიჭებინა ხსნა.

იესო ქისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო. ეს კი, მან იოანე ნათლისმცემლის ხელით მიიღო და იორდანეში მოინათლა. ამით მან ყველას ასწავლა ნათლისღების აუცილებლობა. ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და ერთგულების სიმბოლო — მტრედის სახით — სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა; „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავი“ — მამის ხმაც გაისმა.

წმინდა სამების გაცხადებამ მაცხოვრის ღვთაებრიობა დაადასტურა!

წყლიდან გამოსვლის შემდეგ იესო ქრისტე განმარტოვდა იორდანეს უდაბნოში, რათა ლოცვითა და მახვილით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრულ საქმისთვის — კაცობრიობის ხსნისთვის — მომზადებულიყო. 40 დღე გაატარა მან ამ ველურ გარემოში (ადგილებში), სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან დაბრუნდა.

იესო ქრისტე კანას გალილეაში საქორწინო წვეულებაზე ღვთისმშობელთან ერთად მიიწვიეს, სადაც სვიმონ კანანელი ქორწინდებოდა. აღმოჩნდა რომ ღვინო არ ჰყოფნიდათ. აი, აქ დაიწყო მან სასწაულების აღსრულება თავისი ყოვლადწმინდა დედის შუამდგომლობით, რათა ხალხისთვის ჩაეგონებინა, რომ მხურვალე მეოხი ყოველთვის შეევედრება თავის ძეს, ღვთაებრივი წყალობა მიიღოს მწუხარეთა და ჭირვეულთა, ცოდვებით მოწყლულთა ზედა.

ამ ქვეყანაზე იესოს მოვლინება ზეციური მამის განგებით მოხდა! იესომ იგრძნო, რომ ის მამის ნების აღმსრულებელია, ის წყალს ღვინოდ აქცევს და აი, ამის შემდეგ აგრძელებს ის სასწაულებს...

ჩვენმა დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა წყალკურთხევა (დიდი აიაზმას წესით წყლის კურთხვა). ამ დროს მღვდლის ლოცვით უბრალო წყალი განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს!

იესო ქრისტემ ბრძანა: „უკუეთუ ვინმე არა იშვას წყლისგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლა სასუფეველსა ღმრთისასა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „ნაკურთხ წყალს ეკლესია იყენებს მირონის მოხარშვისას (კურთხევისას), ტრაპეზის, ოდიკების კურთხევისას, და — აღდგომის დღეს არტოსის — სააღდგომო დიდი პურის კურთხევისას!“.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲗᲘᲐ

ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘ



					საფრანგეთის რევოლ. მოღვაწე					დასახლების ტიპი ჩრდ. კავკასიაში	ლუნი და ... ... თაგორი	
					გამხმარი სიმინდის ღეროები			ჯარი / ვიდრე				
										გაზალეთის ... ... აპოლინარი		
					იტალ. აპტო / მსაჯი		ლილიან ... ეოინიჩი სამხრელი იარაღი	მადა ტოლტოის რომანი				ლოცვის დაკვნითი სიტყვა
სავაზნე ჩანთა											ნაცვალსახელი	ანტიგონეს მამა
საცხედრე		იმპერიათობა / ლიმონი									რძის ნაწარმი	
							„ბახტრიონი“ — კვირია და ...					
ემგლეემა ქუდზე									... პარნო / ... ჯეგერი		ქალური საწყისი აღმ. მითოსში	
მუსიკოსი ჯო ...				შეკახილი კორიდაზე						ფილა ნარნერით / თავი წინიდან		
„უცნობი ... წერილი“						გაკვირვების შორისდებული					კარიკატურისტი ... სულაკაური	
ხვენნა		... კიხოტ ლამანჩელი			რეჟისორი ... ახმეტელი			ნატვრისთვალი				
						დაუმორჩილებელი	მდინარე პარიზში					ეემინგუეი — „მშვიდობით ...“
			სიცარულის ღმერთი / შეკახილი ცხენისადმი						გამორეების მოთხოვნა კონცერტზე			
										ფრანგული ფილმი „... ქალაქში“			ცვარი
	აღთქმული / მარად	შელის პიესა „ბეატრიჩე ...“						ანტონიმი სიტყვისა „უკუდმა“				
					ცხოველი ... დოროანაშვილი			ამჟამად ... რიშარი				... მეუნარგია

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“

Გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ Ქ. №19.

299-62-77;

568 82-09-84.

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— **ᲛᲐᲞᲐᲢᲘᲔᲗ**, ქალბატონო, იქნებ დამეხმაროთ, ექვსი დღეა, რაც არაფერი მიჭამია! — ეუბნება მაწანწალა კარგად ჩასუქებულ ქალს.

— ოჰ, ღმერთო, — შურით ამოიხვნეშა ქალმა. — მე რომ თქვენი ნებისყოფა მომცა.

* * *

— **ᲠᲝᲒᲝᲠ** ფიქრობთ, რატომ სვამენ რუსები არაყს და, თანაც, ამდენს? — ეკითხებიან პეტკას ქუჩაში.

— სვამენ იმიტომ, რომ იგი თხევადია. მყარი რომ იყოს, დაღრღნიდნენ.

* * *

— **ᲑᲔᲑᲝ**, კბილები გაქვთ? — ეკითხება შვილიშვილი.

— უკვე არა, შვილო.

— მაშინ დამიკავე ეს ნამცხვარი, მე კი სათამაშოდ წავალ.

* * *

— **ᲡᲐᲠᲐ**, ისე გააკეთე, რომ აბრამმა თქვენს ქორწილში რაც შეიძლება მეტი ფული დახარჯოს.

— რატომ, დედი?

— რათა მერე დაეენანოს შენთან განქორწინება.

* * *

ᲙᲐᲠᲒᲘᲐ იქ, სადაც მე არა ვარ.
თუ არ გჯერათ, შემიძლია მოვიდე.

* * *

— **ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲝ**, მე არ ვამტკიცებ, ვიძირებით-მეთქი, მაგრამ ვირთხები დოლარებით უკვე გარბიან.

* * *

— **ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ**, მოწევა მივატოვე! — ეუბნება პეტკა ცოლს.

— აჯობებდა, რომ ტყუილების როშვა მიგეტოვებინა.

* * *

— **ᲜᲔᲚᲐ** უნდა იჩქაროთ.

— თქვენ ნაღდი ფილოსოფოსი ბრძანდებით.

— რას ამბობთ, ფილოსოფოსი კი არა, ექიმი ტრავმატოლოგი ვარ.

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ



ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA

Გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲔᲠᲝᲡᲙᲐᲘᲐᲡ) Ქ. 19

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ 514 33-33-24